cyan magenta yeloow black

საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფაქიზებით და ჭიარებით ბეჭთის გაფანა ყველა უკარისიბებაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 9 იანვარი. 2016 წ. №4 (7896), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

„როდესაც შენი წინაპრები ტყეში დაეხეტებოდნენ, ჩემები ევანგელეს თარგმნიდნენ...“

⑥

კარლო ჩხეიძის ის ისტორიული რეპლიკა

შობის სოხუმური დღესასწაული ⑧

პიეტა არა რატი ამაღლებლისა, არამედ ბატი (ბატიკუნა) დამდაბლებლისა...

⑦

უფალო, მამულს უმრავლე ზაზასნაირი ბიჭები!...

ზაზა ფაჩულია ის კაცია, პირველს ქართველთაგან რეალური შანსი რომ უბოძა უფალმა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) ყველა ვარსკვლავთა ტრადიციულ მატჩში მიიღოს მონაწილეობა. საამისოდ თანამემამულეთა თანადგომაა საჭირო. აქვე გთავაზობთ „ჯვაროსანთა“ კაპიტნის პირად ლინკს. გთხოვთ, ფეისბუქზე გაიზიაროთ.

შეგახსენებთ, რომ ხმის მიცემა 18 იანვარს შეწყდება.

„საქართველოს რესპუბლიკის“ მრავალათასიანი მკითხველი მხარს უჭერს ზაზა ფაჩულიას!

#NBAVOTE Zaza Phachulia

უფრო საშიში ხორცის მოკვდინება კი არა, სულის წაწყმედაა!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის საშობაო ეპისტოლე

„დღეს ყოველი დაბადებული იშვებს და იხარებს, რამეთუ ქრისტე იშვა ქალწულისგან“.

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მამანო და დედანო, ძმანო და დანო, მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

დღეს ხარობს ყოველი სულდგმული, ცა და ქვეყანა, ხარობს ჩვენი სულები და სამყაროც ივსება ანგელოზთა საგალობლით: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

– რა არის მიზეზი ამ საოცარი სულიერი ზეიმისა?

– ის, რომ მოგვეცა შესაძლებლობა სამოთხისეული ნეტარების მოპოვებისა, დაკარგული სიწმინდის აღდგენისა და სულიერი განახლებისა. დღეს ძე ღვთისა განხორციელდა, რათა ადამიანი ღმერთამდე აღამაღლოს!

„საიდუმლო უცხო და დიდებული ვიხილოთ, ქუაბი ცათა ემსგავსა, ქალწული – ქერუბიმთა, ხოლო ბაგა სახე იქმნა სამყაროისა, რამეთუ დაიტია დღეს ქრისტე ღმერთი, დაუტევნელი, რომელსა ვადიდებთ“ (სადღესასწაულო).

მაშ, მივეგებოთ ახლადშობილ ყრმას და გავხსნათ კარნი გულისანი, რათა ჩვენშიც იშვას ქრისტე.

– ვართ კი ღირსნი, რომ იესო მოვიდეს და დაემკვიდროს ჩვენს გულებში?

– რა თქმა უნდა, არა და არც არასდროს ვიქნებით მზად ამ დიდი საიდუმლოსათვის, მაგრამ მოწყალება და სიყვარული ღვთისა იმდენად მიუწვდომელია და უნაპირო, რომ ეს სასწაული სრულდება. ოღონდ ამას თავისი აუცილებელი პირობაც ახლავს.

– კერძოდ?

– ადამიანი თანაზიარი უნდა გახდეს ღვთაებრივი სიყვარულისა.

– როგორ შევძლოთ ეს?

– წმ. პავლე მოციქული მიუთითებს, რომ ღმერთთან კავშირისათვის ადამიანს უნდა ჰქონდეს ჭეშმარიტი რწმენა, სასოება და სიყვარული. ამათ შორის კი უპირატესად სახელდებს სიყვარულს (I კორ. 13.13), რადგან რწმენა და სასოება, მხოლოდ ამქვეყნად არსებობს და ჩვენი მიწიერი ყოფისთვისაა აუცილებელი, ხოლო სიყვარული ჰგიეს უკუნისამდე.

– როგორია ღვთაებრივი სიყვარული?

– ახალმა აღთქმამ განაცხადა საოცარი რამ, – „ღმერთი სიყვარულია“ (ინ.4,8).

ამის სრული სისავსით უწყება ვერ შეძლო ვერცერთმა რელიგიამ. ქრისტემდეც და შემდგომაც ადამის მოდგმას არ უხილავს ღმერთი, რომელიც მისთვის მსხვერპლად გაიღებდა თავის თავს და ცხონების ერთადერთ გზას გაუკვალავდა.

„შეიყვარეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (ინ. 13,34); „არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მოყვასისათვის (ინ. 15,13.), – ბრძანებს იესო.

ქრისტიანობამ აბსოლუტურად სხვა გაგება შესძინა მოყვასის ცნებას. მართლმორწმუნეთათვის მოყვასია ყველა, – მისი ერის თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი, ნაცნობი თუ უცნობი, დამნაშავე თუ უდანაშაულო, მდიდარი თუ ღარიბი, კეთილისმყოფელი თუ მტერი!

იხ. 3 გვ.

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.416; ევრო - 2.595;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.543;
100 რუბლი - 2.26; თურქული ლირა - 0.81;
აზერბაიჯანული მანათი - 1.543;
1000 სომხური დრამი - 5.02

ამინდი 9 იანვრისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე 0,	დღე +9
მთიანი რაიონები -	ღამე -4,	დღე +4
დასავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე +2,	დღე +8
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +5
თბილისი:	ღამე +4,	დღე +8

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

ეს არის ტექნიკური ცვლილებები და არა საარჩევნო რეფორმა

პრეზიდენტმა საარჩევნო ცვლილებებს ხელი მოაწერა, — ამის შესახებ განცხადება გიორგი მარგველაშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა. მისი თქმით, პარლამენტის მიერ მიღებულ ცვლილებებს ხელი მოაწერა და სურს, საზოგადოებისთვის განმარტება გააკეთოს.

„ეს ცვლილებები არანაირად არ არის ის საარჩევნო რეფორმა, რომელზეც ჩვენ წლებია, ვსაუბრობთ. ეს ცვლილებები განპირობებულია იმ მოთხოვნებით, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებით დაადგინა. შესაბამისად, ეს სრულიად ტექნიკური ტიპის ცვლილებებია და რეალურად საარჩევნო რეფორმა, რომელიც პოლიტიკურ აქტორებს შორის სრულ თანხმობას და თამაშის წესებზე ერთიან შეხედულებას დაადგენდა, ჯერ ჩვენ არ გვაქვს," — განაცხადა პრეზიდენტმა.

„საარჩევნო კოდექსთან" დაკავშირებული ორი კანონპროექტი პარლამენტმა დეკემბრის ბოლოს დაამტკიცა. პარლამენტის მიერ „საარჩევნო კოდექსში" შეტანილი ცვლილებებით, 73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრები იცვლება — ხდება ცალკეული ოლქების გაერთიანება, ხოლო ცალკეული ოლქების — დაყოფა.

კერძოდ, თბილისისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებში 22 მაჟორიტარული ოლქი შეიქმნება. ვანსა და ხონს ერთი მაჟორიტარი დეპუტატი ეყოლება. ცვლილებებით, ერთად, ერთი მაჟორიტარი დეპუტატი უნდა ჰყავდეს ამბროლაურს, ონს, ლენტეხს, მესტიას და ცაგერს.

იცლება ყველა სხვა დანარჩენი მაჟორიტარული ოლქის საზღვარი. თითო მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი კი მხოლოდ საგარეჯოში, გურჯაანში, ხაშურში, საჩხერში, ჭიათურაში, წყალტუბოსა და სამტრედიაში იქნება.

მეორე ცვლილება კი, მაჟორიტარი დეპუტატების 50%-იანი ბარიერით არჩევას ითვალისწინებს.

პრეზიდენტი შეწყალების საქმეზე კომენტარს არ აკეთებს

„ამის შესახებ არაერთხელ გავაკეთე განცხადება და არ მგონია, რომ მეტ სიღრმეებში უნდა წავიდე ამ შემთხვევაში. მიმდინარეობს გამოძიება, ეს არის ფართოდ გაშუქებადი პროცესი და ჩემი კომენტარი ამ პროცესს, ვფიქრობ, ნაკლებად ესაჭიროება", — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდებულების გათავისუფლებით საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ეკა ბესელია და მანანა კობახიძე იყვნენ დაინტერესებული. მისი თქმით, წელიწად-ნახევრის წინათ, რამდენიმე პოლიტიკოსი შეწყალების კომისიისგან კონკრეტული პატიმრების შეწყალებას ითხოვდა, რაშიც მათ სოლიდური თანხა ჰქონდათ აღებული. ელისაშვილი ასევე აცხადებს, რომ მან საქმის კურსში ჩააყენა საქართველოს პრეზიდენტი.

პროკურატურა აღნიშნულ საქმეზე გამოძიებას აწარმოებს.

◎ რეპლიკა

ჭკუა - თხელი, ენა - ბრტყელი

იმგვარ განცხადება-შეფასებებს, გია ხუხაშვილი რომ აკეთებს, ჩვენთან ლაყბობას ეძახიან!

ყოფილი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილისა და მოქმედი პრემიერის, პარლამენტში ჩემი ყოფილი კოლეგის გიორგი კვირიკაშვილის მიმართ წლევანდელი 4-ნ იანვრის „ახალ თაობაში" გამოქვეყნებული გია ხუხაშვილის შეფასებებმა ძალიან აღმაშფოთა და გამაკვირვა.

პიროვნულად არ ვიცნობ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც თავდაუზოგავად იღვაწა, იშრომა, ყოველივე იმის მისაღწევად, რაც დღემდე გაკეთდა ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, ქართველების და არა მარტო ქართველების (მხედველობაში მყავს ეთნიკური უმცირესობების) ჯანმრთელობის, განათლების, ეკონომიკური სიძლიერის, საგარეო ურთიერთობების, კეთილდღეობის გაუმჯობესება-გაძლიერებისთვის, რაც ნათლად წარმოჩნდა მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში (სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯეროვნად არ იყო ინფორმირებული გაკეთებულ საქმეებთან დაკავშირებით, რაც მომავალში აუცილებლად გასათვალისწინებელია)". და ამის შემდეგ პრემიერი გადადგა.

ხუხაშვილი კი გამოდის პრესა-ტელევიზიით და აცხადებს „ღარიბაშვილი გააგდესო", თანაც რამდენიმეჯერ უსვამს ამას ხაზს. მანვე „იუმორად" შეაფასა ბატონი ბიძინა ივანიშვილის გამონათქვამი, კაცისა, რომელმაც ქვეყნისთვის უდიდესი საქმე გააკეთა და ქველმოქმედების კასკადი მიუძღვნა საქართველოს, ქართველ საზოგადოებას, პრემიერ გიორგი კვირიკაშვილზე კი, რომელზეც, მის შესაძლებლობებსა და განვლილ გზაზე, მასშტაბებზე წარმოდგენა საერთოდ არა აქვს, გამოუცდელი და ტექნიკური პრემიერიაო, ამბობს. თანაც უსაფუძვლოდ, ყოველგვარი არგუმენტებისა და დასაბუთების გარეშე, უბრალოდ.

ასეთ განცხადებას და შეფასებას ჩვენთან, დასავლეთ საქართველოში, და არა მარტო დასავლეთში, ლაყბობას ეძახიან.

მიმაჩნია, რომ მოაზროვნე, საქმიანი, პროფესიონალი ექსპერტი ასე ნამდვილად არ უნდა იქცეოდეს.

თუმცა ისიც საკითხავია, როგორ მოინათლა ექსპერტად, რატომ აძლევს თავს გადამეტებულ უფლებას! ხომ უნდა იცოდეს, რომ ადამიანს პატივისა და ღირსების შელახვისგან საქართველოს კონსტიტუცია იცავს.

არავის არ აქვს ამის უფლება, მითუმეტეს გია ხუხაშვილს.

რატომ აღვნიშნე ეს ხაზგასმით? იმიტომ, რომ ახლა არაფერს ვამბობ იმ პასუხგაუცემელ საკითხზე, საქართველოში სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვასთან რომ არის ასოცირებული და რომელთანაც როგორც ამბობენ, იგი იყო დაკავშირებული.

მერწმუნეთ, ეს საკითხი ზედმიწევნით კარგად ვიცი, როგორც ყოფილმა ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსმა.

პეტრე ბერაია,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

შექმნილი პრობლემების გამო მინისტრი ბოდიშს იხდის

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი საახალწლოდ გზებზე შექმნილი პრობლემების გამო მოსახლეობას ბოდიშს უხდის. დიდთოვლობის გამო შექმნილ პრობლემებზე მთავრობის გუშინდელ სხდომაზე იმსჯელეს.

ნოდარ ჯავახიშვილის განმარტებით, გარკვეულ პერიოდში ქვეყნის მასშტაბით ჭირდა გადაადგილება და ამის მიზეზად კონტრაქტორების მხრიდან ახალი წლის დღეებში თანამშრომლების გამოყვანის პრობლემა დასახელდა. პრობლემა იყო ტექნიკის მხრივაც.

„იყო პერიოდი, როდესაც მთელ საქართველოში ჭირდა გადაადგილება. რასაკვირველია, არაფერი არ ამართლებს ამას, მაგრამ ცოტა რთული აღმოჩნდა 1-2 იანვარს ხალხის გამოყვანა კონტრაქტორების მხრიდან. იყო ტექნიკის პრობლემებიც. ამ ეტაპზე არ ვიტყვი, რომ ყველაფერი ძალიან გამართულად არის, მაგრამ ძირითადი პრობლემები მოიხსნა. გარდა იმისა, რომ გააქტიურდნენ კონტრაქტორებიც და ჩვენი სამსახურებიც, ტემპერატურამაც აიწია. დღეს ბარში პრაქტიკულად არსად არ გვაქვს პრობლემა, მაგრამ პრობლემებია მთიან რეგიონებში, — განმარტა ნოდარ ჯავახიშვილმა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, იმ კომპანიებს, რომლებმაც დიდთოვლობის დროს საავტომობილო გზებზე არსებული პრობლემების დროულად აღმოფხვრა ვერ შეძლეს, სანქციები დაუწესდებათ. გზებზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია პრემიერს მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა მიაწოდა.

„სამწუხაროდ, ყველა კონტრაქტორმა ვერ გაითავისა ის ვალდებულებები, რომელიც მათ გააჩნიათ, ამიტომ მე მინდა გთხოვოთ, რომ უპირველეს ყოვლისა მოსახლეობას მივაწოდოთ რეგულარული ინფორმაცია ბრიფინგის სახით გზების დეპარტამენტის ან შესაბამისი უწყების მხრიდან და მეორე, ასეთი პრობლემების გამო, ვერ ხდება ძირითადი სერვისების მიწოდება, მოქალაქეების გადაადგილების ნაწილში შეფერხებებს რომ თავი დავანებოთ, შეიძლება სასწრაფო ვერ მივიდეს ავადმყოფთან და შეიძლება რაიმე უბედურება მოხდეს. მე მინდა, თუ კონტრაქტორი კარგად ასრულებს ვალდებულებებს, წავახალისოთ და მადლობაც უნდა ვუთხრათ, ასევე მომავალ თანამშრომლობაში გავითვალისწინოთ და თუ ვერ ასრულებს პირიქით, გამოვიყენოთ ის სანქციები, რაც საჭიროა. იმიტომ, რომ, ალბათ, ჩვენ თანამოქალაქეებს არ აინტერესებთ რა სტრუქტურით ვქირაობთ ჩვენ ამა თუ იმ კომპანიას და არც ის, რომ რომელიმე ჩვენი კონტრაქტორი ვერ ასრულებს ამა თუ იმ მოვალეობას", — განაცხადა კვირიკაშვილმა.

◎ ინფორმაცია

თურქეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს არ შემოიღებს

საქართველოს ელჩი თურქეთში ირაკლი კობლატაძე გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თურქეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს შემოიღებს, არ ადასტურებს.

„თურქეთ-ევროკავშირს შორის ახლა იწყება დიალოგი ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ამ მოვლენას უკავშირდება ის დეზინფორმაცია, რომ თითქოს ზაფხულიდან შემოღებულიყო სავიზო რეჟიმი და ქვეყნების ჩამონათვალში საქართველოც იყო, მათ შორის. მოლაპარაკების პერიოდში თითქოსდა ცალკეულ ქვეყნებში უნდა იყოს შემოღებული სავიზო რეჟიმი, ამას თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებს", — ამბობს კობლატაძე.

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრს, მიხეილ ჯანელიძე ვერ ხედავს გარემოებას, რის გამოც თურქეთმა საქართველოსთან შეესაძლოა, უვიზო რეჟიმი შეცვალოს.

პოლიტპატიმართა სიები გადაიხედოს

პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი ხუთი არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებას ეხმაურება, რომლებმაც მთავარ პროკურატურას განცხადებით მიმართეს. მასში აღნიშნულია, რომ პოლიტპატიმრების სიაში კრიმინალები არიან შეყვანილი და მათი საქმეები უნდა გადაიხედოს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე წითელაშვილმა განაცხადა, ის თავადაც მოითხოვს პოლიტპატიმართა საქმეების გადახედვას:

„მას შემდეგ, რაც დავტოვეთ საპყრობილეები, ჩვენ არაერთხელ მივმართეთ პროკურატურას იმასთან დაკავშირებით, რომ დავკითხულიყავით და დაწყებულიყო ჩვენი საქმეების ხელახალი გადახედვა, რომ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დასმოდა „ნაციონალური მოძრაობისა" და მასთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების სპეკულაციებს. მე 4 დღის წინაც წარვადგინე პროკურატურაში ახალი გარემოებები და კონკრეტული ადამიანების გვარები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი საქმეების შეთითხვნასა და უკანონოდ პატიმრობაში. პროკურატურიდან აქამდე უარს ვიღებდით, რადგან იქ დღემდე მუშაობენ პროკურორები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი საქმეების გაყალბებაში. მივმართავთ ბატონ შოთაძეს, რომ დაისვას წერტილი, ვართ თუ არა კრიმინალები, ვეწეოდით თუ არა სააკაშვილის რეჟიმის დროს პოლიტიკურ ბრძოლებს და მოხდეს ჩვენი სრული რეაბილიტაცია".

უფრო საშიში ხორცის მოკვდინება კი არა, სულის წაწყმედაა!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის საშობაო ეპისტოლე

(პირველი გვერდიდან) „მე გეუბნებით თქვენ, გიყვარდეთ თქვენი მტერნი, დალოცეთ მაწყევარნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენს მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის, რათა იყოთ თქვენ შვილნი მამისა თქვენისა ზეციერისა“ (მთ. 5.44–45).

ეს არის მანამადე არსმენილი და არგაგონილი სიტყვები, მანამდე არსად და არასდროს გაცხადებული სიმაღლე ღვთაებრივი სიყვარულისა.

ასეთი სიყვარულით აღსავსე იყო ჩვენი ხალხი საუკუნეთა მანძილზე. ამიტომაც, თავგანწირვით იცავდა იგი მოყვასს, სამშობლოსა და ჭეშმარიტ რწმენას და ამავე დროს, სისხლით მორწყულ თავის მიწა-წყალზე სითბოს არ აკლებდა უცხოტომელთ. ჩვენს დევიზად იქცა რუსთველის უკვდავი სიტყვები:

„მე იგი ვარ... ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად..“ „სიყვარული აღგვამაღლებს“.

ასეთმა დამოკიდებულებამ, ცხოვრების ასეთმა წესმა გადაგვატანინა ათასგვარი ქარტეხილი და დღემდე მოგვიყვანა. ჩვენ კი როგორ ვცხოვრობთ?

აშკარად ჩანს, რომ მსოფლიო კარგავს ჭეშმარიტი სიყვარულის განცდას და მის ადგილს ვირტუალური გრძნობები და გაყალბებული სიყვარული იკავებს. ასეა აძაც.

სხვადასხვა გატაცებას, რომელიც ადამიანს ხანმოკლე დროით ეწვევა ხოლმე, დღეს სიყვარულს უწოდებენ. იგი, პირველ რიგში, ნამდვილი სიყვარულისაგან იმით განსხვავდება, რომ თავგანწირვის უნარისგან თითქმის სრულად დაცლილია, საკუთარ ინტერესებზეა ორიენტირებული და არსებობს მანამ, ვიდრე ამა თუ იმ პიროვნების ეგოისტურ ზრახვებს რაიმე საფრთხე არ დაემუქრება.

ბუნებრივია, ასეთ გრძნობებზე დამყარებული ურთიერთობა მყიფეა, ხანმოკლე და მას არაფერი აქვს საერთო თავდადებულ, ნამდვილ სიყვარულთან.

მოჩვენებითი სიყვარული არის დღევანდელი ოჯახების რღვევის მთავარი მიზეზიც. ცოლ-ქმარს აღარ შეუძლიათ ერთმანეთს სათანადო პატივი მიაგონ, დადგნენ პირად ინტერესებზე მაღლა და უღელი ერთად გასწიონ. რაკი მათ სიღრმისეული გრძნობები არ აკავშირებთ, მცირედი უსიამოვნებების გამოც ადვილად ამბობენ უარს პასუხისმგებლობაზე და „ახალი სიყვარულის“ ძებნას იწყებენ.

ზოგიერთი ოჯახი შეიძლება არც დაინგრეს, მაგრამ უსიყვარულობამ მუდმივი ჩხუბი და უთანხმოება წარმოშვას; ასეთ გარემოში კი ბავშვები ითრგუნებიან და მძიმე ხასიათი უყალიბდებათ.

აცნობიერებს კი ამას დედ-მამა? აცნობიერებენ, რომ მატერიალური უზრუნველყოფა რომც ჰქონდეთ მათ შვილებს, ბავშვებმა თუ ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან სასწავლებელში, ოჯახში, ვერ დაინახეს ერთგულება, პატივისცემა, პატიების, სხვისთვის მსახურებისა და გულითადობის მაგალითი, თავადაც ამ გრძნობებისაგან დაცლილნი და ნაკლულევანნი იქნებიან, რაც შემდეგ მათ პირად ცხოვრებაზე უარყოფითად იმოქმედებს.

მშობლები ამ ცოდვას როგორ გამოისყიდიან?

ქორწინება ეკლესიის ერთ-ერთი საიდუმლოა. ეს არის ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრება სულიერი და ხორციელი ერთობისათვის, რათა ერთმანეთს შეეწიონ იმ მდგომარეობის მისაღწევად, რასაც გულისხმობს განღმრთობა.

ეს პროცესი ჰგავს ოქროს გამოდნობას, რაც ოჯახურ ყოფაში ვლინდება ღვთის სადიდებლად ურთიერთმსხვერპლშეწირული სიყვარულით, განსაცდელთა ერთობლივი დათმენით და მოყვასისადმი მსახურებით.

რა თქმა უნდა, განღმრთობის მიღწევის სურვილი არის ბერ-მონაზვნური ცხოვრების მთავარი აზრიც, ოღონდ ამ შემთხვევაში სრულყოფის პროცესი განსაკუთრებულ მოღვაწეობას გულისხმობს. იგი უფრო რთული გზა არის და ნურავინ იფიქრებს, რომ ეგოისტურად მხოლოდ საკუთარ თავზეა ორიენტირებული. ბერ-მონაზვნობა არის ასკეტური მსახურება ღვთისა და მოყვასისათვის ამ სიტყვის ფართო გაგებით.

წმინდა წერილი ბრძანებს: „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ.1.27), – როგორი დიდი აზრია ჩადებული ამ წინადადებაში, რომელიც გვიცხადებს, რომ უფლის სადიდებლად მოწოდებული მარტომყოფობაც და ცოლ-ქმრის თანაცხოვრებაც დალოცვილია და ცხოვრების ამ წესის დარღვევა, მოშლა, ან დამახინჯება არ შეიძლება.

უსიყვარულობასთან ერთად ჩვენი ყოფისთვის მეტად დამაბრკოლებელ გარემოებად იქცა ისეთი აზროვნებისთვის ხელშეწყობა, რომლისთვისაც ცოდვა აღარ არის ცოდვა, არამედ – ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა, ხოლო ცოდვის სიყვარული, – თურმე ნამდვილი სიყვარულის ერთ-ერთი სახე. სიტუაცია ისე ვითარდება, რომ უფლის მიერ დადგენილი მცნებების შეცვლაც კი სურთ, რათა ღვთისაგან არ იქნენ მხილებულნი, არამედ, მისაღებნი გახდნენ ყველასათვის, ხოლო ვინც ეწინააღმდეგება ამ პროცესს, დამცირებისა და დაცინვის ობიექტი ხდება.

ეს არც არის გასაკვირი. ჯერ კიდევ ბრძენი სოლომონი წერდა: „**ღვთისმგმობელის დამრიგებელი დამცირებას მიიღებს, ბოროტეულის მამხილებელი – შეურაცხყოფას**“ (სიბრძნ. სოლ. 9,7).

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა. რა თქმა უნდა, მას უყვარს ძე შეცდომილიც, ოღონდ მონანული, მაგრამ სძულს ცოდვა. ქრისტე მკვეთრ ზღვარს ავლებს სიკეთესა და ბოროტებას შორის და ამბობს: „არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“ (მთ. 10.34).

საერთოდ, სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ კი მისდამი ზერელე დამოკიდებულებას ვიჩენთ და ვერ ვაცნობიერებთ, რომ მას მარადიულ სიკვდილ-სიცოცხლესთან ღრმა კავშირი აქვს.

გავიხსენოთ პავლე მოციქულიც: „ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს... ვერც მეძავნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი, ვერც მპარავნი, ვერც ანგარნი, ვერც მემთვრალენი, ვერც მაგინებელნი, ვერც მტაცებელნი“ (I კორ. 6.9–10).

მათდამი ჩვენი სიყვარული იმით უნდა გამოვხატოთ, რომ ვეცადოთ, როგორმე დავანახოთ მათი ცდომილება. ერთი პიროვნების სწორ გზაზე დაყენებაც კი, კეთილისმყოფელის მრავალ დანაშაულს დაჰფარავს. თუმცა ამის მიღწევა ადვილი არ არის, მით უმეტეს დღეს, როდესაც ამპარტავნების ხარისხი იმდენად დიდია, რომ ადამიანი ვეღარ იტანს შენიშვნას.

ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ხშირად სხვაში ვხედავთ გამოსასწორებელ ნაკლს და საკუთარი თავი გვავიწყდება. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ამბობდნენ: „შეიცანი თავი შენი;“ რომაელებიც იმეორებდნენ: „NOSCE TE IPSUM.“ სახარებაც გვარიგებს: „**რატომ ხედავ ბეწვს შენი ძმის თვალში, ხოლო შენსაში დირესაც ვერა გრძნობ?**“ (მთ.7.3).

საკუთარი თავის შეცნობა ზოგიერთს ადვილი ჰგონია და არ იცის, რომ სინამდვილეში პიროვნების სამსახოვნებასთან აქვს საქმე: 1. როგორადაც თვითონ ხედავს იგი საკუთარ თავს. 2. როგორც სხვები ხედავენ მას და 3. როგორიცაა ის სინამდვილეში.

ყველაზე რთული ამ მესამე მდგომარეობის აღმოჩენაა, რადგან ჩვენში არსებული ამპარტავნებით სავსე ეგოისტური „მე“ ჩვენს სისუსტეებსა და მცდარ ნაბიჯებს მუდმივად გამართლებას უძებნის და შემწყნარებელია მათ მიმართ; ეს კი რეალობის შეგრძნებას გვიჩლუნგებს.

გონიერია ის, ვინც სწორად განსჯის უნარს შეიძენს და თავის შინაგან სამყაროში ჩახედვისას არაფრის შელამაზებას არ მოინდომებს.

მაშინ მიემსგავსება იგი იმ ჭეშმარიტ მჭვრეტელს, რომელიც უკვე ნათლად ხედავს თავისი სულის აქამდე ბუნდოვან, ან თუნდაც სრულიად უცნობ, ფრიად დაზიანებულ სამყაროს და მისი აღდგენისა და განახლებისაკენ ისწრაფვის.

ჩვენი ნამდვილი „მე“-ს დამახინჯების მიზეზი არასწორ ქმედებებთან ერთად ცუდმეტყველება და ცუდი აზრებია.

საერთოდ, სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ კი მისდამი ზერელე დამოკიდებულებას ვიჩენთ და ვერ ვაცნობიერებთ, რომ მას მარადიულ სიკვდილ-სიცოცხლესთან ღრმა კავშირი აქვს.

რატომ აქვს სიტყვას ასეთი დატვირთვა?

წმინდა იოანე მახარებელი მაცხოვარზე საუბრით იწყებს თავის სახარებას და ასე წერს: „პირველითგან იყო სიტყვა“ (ინ. 1.1).

დიახ, მოციქული, რომელმაც განგვიცხადა, რომ ღმერთი სიყვარულია, სიყვარულთან ერთად, მას სიტყვადაც სახელდებს, რითაც ხაზს უსვამს მაცხოვრის საღვთო, ბუნებით ძეობას და ამასთან ცხადყოფს მამის და მხოლოდშობილი ძის, სიტყვის, შემოქმედებით ძალას, რადგან ძე, როგორც შემოქმედი, მამისაგან ცალკე არ განიხილება: „სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა...და ყოველივე მის მიერ შეიქმნა“(ინ. 1.1-3).

სამყაროს წარმოშობის შესახებ ბიბლიაში წერია: „თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. თქვა ღმერთმა: იყოს წყალთა შორის მყარი... და იქმნა ასე. თქვა ღმერთმა: იყოს მნათობები ცის მყარზე დღისა და ღამის გასაყრელად, დრო-ჟამის აღმნიშვნელად... და იქმნა ასე“(დაბ. I. 3,6,7,14,15)...

ანუ სიტყვით ხდება დაბადება, ქმნილებათათვის სიცოცხლისა და ფუნქციის მინიჭება, რაც ღმერთის თვისებაა!

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვა-სახელს როგორც პიროვნებისათვის, ისე საგნისა თუ მოვლენისათვის, რადგან მასში ჩადებული შინაარსი ბევრ რამეს განსაზღვრავს. სახელდება თავდაპირველად ყოვლადწმინდა სამების მიერ მოხდა:

„ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე,...მყარს ღმერთმა უწოდა ცა, ხმელეთს – მიწა (დაბ.1.5.8.10), ადამსაც სახელი მან დაარქვა...

საერთოდ, სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ კი მისდამი ზერელე დამოკიდებულებას ვიჩენთ და ვერ ვაცნობიერებთ, რომ მას მარადიულ სიკვდილ-სიცოცხლესთან ღრმა კავშირი აქვს.

შემდეგ კი ღმერთმა მეტყველების უნარი და სახელდების უფლება, ცოცხალ არსებათა შორის ერთადერთს, თავის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს უბოძა, როგორც შესაქმის გვირგვინს.

ადამმა სახელი დაარქვა პირუტყვებს, ცის ფრინველთ და ველის ცხოველთ, ასევე მის შემწედ შექმნილ ქალს; დაცემის შემდგომ ადამიანმა სახელები უწოდა თავის შთამომავლთ, საგნებს, გარემო-სამყაროს და ა.შ.

სამოთხეში ურთიერთობა ღმერთსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის სრულიად დაუბრკოლებელი იყო და პირველმშობლები ერთიმეორეს აზრისმიერად ეზრახებოდნენ. ცოდვით დაცემის შემდგომ კი ეს კავშირი დაირღვა; ჩვენი გრძნობების გამოსავლენად და ერთმანეთთან ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებელობა გაჩნდა მატერიალური სიტყვისა.

ღმერთის მსგავსად, ადამიანის მიერ წარმოთქმულ სიტყვასაც ძალა აქვს. ოღონდ, უფლისგან განსხვავებით, მისი ძალა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.

იცოდეთ, არცერთი სიტყვა უკვალოდ არ ქრება და ღვთის წინაშე ჩვენი მეტყველების გამოც განვისჯებით. ამიტომაც წერს მათე მახარებელი: ყოველი ფუჭი სიტყვისთვის, რომელსაც იტყვიან კაცნი, პასუხს აგებენ ისინი განკითხვის დღეს, რადგან ჩვენივე სიტყვებით განვმართლდებით და ჩვენივე სიტყვებით გავმტყუნდებით (მთ.12,36).

ჩვენ კი როგორი უგულისხმონი ვართ! ფუჭ საუბარზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ნახეთ, როგორი შემწიკვლებულია ჩვენი ბაგეები დაცინვით, რისხვით, შეურაცხყოფით, ცილისწამებით, სიცრუით, სიტყვის გატეხვით, უმადურობით, ცრუ ფიცით, წყევლით, გინებით...

„ენა მცირე ასოა, და დიდად კი მძლავრობს; აჰა, რა მცირე ცეცხლი ბუგავს დიდ ტყეს“ და „სავსეა მომაკვდინებელი გესლით“ (იაკ.3,5, 8).

„ენით ვაკურთხებთ ღმერთს და მამას და ენითვე ვგმობთ ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილ კაცთაც“ (იაკ. 3;9). ამიტომაც, თუ ვინმეს „ღმრთისმოყვარე ჰგონია თავი და ლაგამს არ ამოსდებს ენას, იცოდეს, ფუჭია მისი ღვთისმოსაობა“ (იაკ.1, 26).

იხ. 4 გვ.

უფრო საშიში ხორცის მოკვდინება კი არა, სულის წარწყმედაა!

(მესამე გვერდიდან)

ერთმა კაცმა სოკრატეს ჰკითხა: იცი რა უთქვამს შენზე შენს მეგობარს?

სოკრატემ კითხვა შეუბრუნა: „დარწმუნებული ხარ, რომ რის თქმასაც აპირებ, სიმართლეა?

— ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რადგან სხვისაგან მოვისმინე.

— რაც უნდა მითხრა, კარგი ამბავია?

— არა, პირიქით.

— ე.ი. შენ უნდა მითხრა რაღაც ცუდი, და არც იცი, ეს რეალობას შეესაბამება თუ არა. სარგებლობის მომტანი თუ მაინც არის?

— ვფიქრობ, არა.

— „თუ ინფორმაცია, რომელიც გინდა მომაწოდო, არ არის არც კარგი, არც მართალი და არც სასარგებლო, რა აზრი აქვს მის თქმას?!“ — უპასუხა სოკრატემ და განეშორა მოსაუბრეს.

დღეს ასე ცოტა ვინმე თუ მოიქცევა.

ჩვენმა ყოფამ ინტრიგას დიდი გასაქანი მისცა, ფაქტობრივად, ცხოვრების წესად აქცია იგი და ადამიანი სრულიად დაუცველი დატოვა. ეს ქვეყანას ძალიან დააზარალებს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სამწუხარო ფაქტიც, რომ დიდი ხანია, ვაჟებიც და ახლა უკვე გოგონებიც საკუთარი მშობლების მისამართითაც არ ერიდებიან ბილწსიტყვაობას და ვერც ხვდებიან, რომ თავის თავს იწყევლიან და სასტიკ სასჯელს განიწესებენ, რადგან მშობლის შეურაცხმყოფელს ღმერთი განსაკუთრებულად სჯის.

საერთოდაც, წახალისება ხდება უცენზურო გამოთქმების და ტირაჟირება ავადმყოფური აზრების. ეს სიკვდილის გზაა, ჯოჯოხეთის წყდიადისკენ მიმავალი გზა. ღმერთმა ყველა იხსნას ასეთი დაცემისაგან, მისცეთ სიტყვა წმინდა და მართალი და გულისხმისყოფა ბოროტისაგან თავის დასაღწევად.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი საქმე, რაც კი შეიძლება ამქვეყნად აღასრულოს ადამიანმა, არის ლოცვა. იგი საუბარია ღმერთთან, სინანულია, მის წინაშე სულისა და გულის განფენაა. ეკლესიის და სასულიერო პირებისათვის ლოცვა პირდაპირი მოვალეობაა, მაგრამ იგი ასევე მოვალეობაა საერო პირთათვის.

აი, როგორ გვარიგებს მოციქული: „უჭირს რომელიმე თქვენგანს? ილოცოს; ხარობს ვინმე? ფსალმუნი იგალობოს...რწმენის ლოცვა იხსნის სნეულს... და თუ ცოდვები აქვს ჩადენილი, მიეტევება; ილოცეთ ერთმანეთის გამო...ბევრი რამ ძალუძს მართლის ლოცვას“(იაკ. 5. 13, 15-16).

მართალში კი მაცხოვრის მცნებებით მცხოვრები პიროვნება იგულისხმება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულით იქნება შემოსილი, რადგან „სიყვარულია სიმტკიცე სრულქმნილებისა“ (კოლ.3,15).

ასეთი ადამიანი სხვათაგან დიდად განირჩევა. იგი „სულგრძელია და ტკბილი. სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს, არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს, არ შეჰხარის უსამართლობას, ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს“ (I კორ. 13.4-9). სიყვარულის გარეშე კი, ღვთის წინაშე, ნებისმიერი სათნოება აზრს კარგავს და უქმდება.

აი, რა სულისშემძვრელ სიტყვებს ამბობს წმ. პავლე მოციქული:

„კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღრიალე... წინასწარმეტყველების მადლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს სრული რწმენა ისე, რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ...მთელი ჩემი ქონება რომ გავყიდო გლახაკთათვის, და დასაწვავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არა მაქვს, არარას მარგია“ (I კორ.13.1-3).

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ღვთაებრივი სიყვარული მოვიპოვოთ. ეს უნდა იყოს კაცთა მოდგმის ცხოვრების მიზანი. ამიტომაც ბრძანებს წმინდა წერილი: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით, — აი, უპირველესი მცნება და მეორე, ამისი მსგავსი: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მარკ.12.30-31).

როგორც წმინდა იოანე ოქროპირი წერს: „ღმერთმა მრავალი გზა დასახა მასთან მისასვლელად. ზოგნი ქალწულებით ბრწყინავენ, სხვანი ქორწინებით განდიდნენ, კიდევ სხვანი ქვრივობაში უბიწოების დაცვით შეიმკვნენ, ვიღაცამ მიწიერი სიკეთენი სრულად უარყო, ზოგმა — სანახევროდ;

ცოდვამ გძლია? სინანულით, აღსარებითა და ზიარებით განიწმინდე.

მდიდარი ხარ? — მოწყალება უხვად გაეცი.

თუ გიჭირს და სხვას მატერიალურად ვერ შეეწევი, ავადმყოფს მიხედე, პატიმარი მოინახულე, ჭიქა წყალი მწყურვალს მიაწოდე, მწირი შეიფარე, მტირალთან იტირე, ვინმე სიტყვით ანუგეშე...

თუ ისეთი ღატაკი ხარ და დავრდომილი, რომ ვერავის დაეხმარები, უდრტვინველად გადაიტანე ეს ყველაფერი და მართალი იობივით უდიდეს ჯილდოს მიიღებ.

ამგვარი იყო სახარებისეული ლაზარეს სათნოება. მას თავისთვის საზრდოც არ ჰქონდა, ვერც ავადმყოფს შეეწეოდა და ვერც საპყრობილეში მყოფს, რადგან უძლურების გამო, წამოდგომის უნარიც არ ჰქონდა, ამასთან ხედავდა სასტიკთა და უსჯულოთა პატივსა და განცხრომას და ერთი სიტყვაც არ დასცდენია გულისწყრომისა, არამედ მხოლოდ მადლობდა ღმერთს ყველაფრისათვის.

აი, ასეთი ცხოვრების გამო დაიმკვიდრა მან აბრაამის წიაღი.“

რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ხორცისა და სულის ტკივილს გაუძლო ისე, რომ განკითხვაში არ ჩავარდე; ეს მოწამეობის ტოლფასია და სათნოებათა მწვერვალი. ჩვენს დროში ბევრი გაჭირვებულია და დავრდომილიც და თუ ვინმე შეძლებს წმინდა ლაზარესავით უდრტვინველად, მადლობით მიიღოს განსაცდელი, დიდების გვირგვინს მოიპოვებს.

ამ ეპისტოლეში ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ ასპექტს შევეხეთ მხოლოდ. ბუნებრივია, პრობლემები გაცილებით მეტი გვაქვს, ამას ემატება მთელს მსოფლიოში შექმნილი ფეთქებადსაშიში მდგომარეობა, ათასობით უდანაშაულო ადამიანის დაღვრილი სისხლი, დევნილთა სიმწარე და ხვალინდელი გაურკვეველი დღის მოლოდინი... რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მეტად მძიმეა, მაგრამ უფრო საშიში ხორცის მოკვდინება კი არა, სულის წარწყმედაა!

უფალი მოწყალეა. მთავარია, შევიცნოთ თავი ჩვენი, გავაცნობიეროთ, სად არის ოქროს შუალედი, სადამდე უნდა ჰქონდეს ზღვარი ჩვენს ქმედებას, ჩვენს თავისუფლებას, რომ იგი უარყოფითი შედეგის მომტანი არ იყოს. მოვუსმინოთ ერთმანეთს, უარი ვთქვათ კატეგორიულ აზროვნებაზე, უარი ვთქვათ ჩვენს სისუსტეებზე, რათა შევძლოთ სულიერად განახლებული ცხოვრება დავიწყოთ, რომ ჩვენზეც აღსრულდეს პავლე მოციქულის სიტყვები:

„ოდესღაც ზოგიერთი თქვენგანი ცოდვის მონა იყო, მაგრამ განიბანეთ, მაგრამ განიწმინდეთ, მაგრამ განმართლდით უფლის ჩვენი იესო ქრისტეს სახელით და ღმერთის ჩვენის სულით.“ (I კორ.6,11)

ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო: ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, უდინნო, ქურთნო, იეზიდნო, ბერძენნო, რუსნო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, ებრაელნო, ქისტნო, ჩეჩენნო, ლეკნო და ყოველნო შვილნო ივერიისა, ჩვენს სამშობლოში მკვიდრნო და ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, ანთებული სანთლით კვლავაც მივეგებოთ ბეთლემს მიმავალ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელსა და მართალ იოსებს. დავითის ქალაქს უკვე უახლოვდებიან მოგვნი, სადაცაა მწყემსებიც მოისმენენ ანგელოზთა საგალობელს. მაშ, ჩვენც ნუ დავყოვნდებით, სულით მივეახლოთ ახალშობილ ყრმას და მუხლმოდრეკით შევთხოვოთ: შენი ვარ, გვაცხოვნე ჩვენ!

ყველას გილოცავთ შობა-ახალწელს და გისურვებთ, რომ ამ დღეების მადლით მოხდეს ჩვენი განწმენდა, განახლება და სიკეთით აღვსება. შევიყვაროთ და გავიხაროთ ერთმანეთით; მაშინ ღმერთიც შეგვიყვარებს და გვაცხოვნებს. ღმერთმა დაგლოცოთ და სულიერად აღგამაღლოთ.

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი



თბილისი, შობა ქრისტესი, 2015-2016 წელი

„საშობაო ალილო 2016“

„...ქრისტე იშვა ბეთლემსაო“

8 იანვარს მთელს საქართველოში ტრადიციული საშობაო ალილოს მსვლელობები გაიმართა. თბილისში საშობაო ალილოს მსვლელობა ვარდების მოედნიდან დაიწყო. ალილოს მონაწილეებს შორის იყვნენ სასულიერო პირები, მრევლი, ბავშვები, მწყემსები, „მოგვები“. ღონისძიებაში ფიგურირებდნენ კამეჩები ნობათით დატვირთული ურმებით, ვირი, დეკორატიული სპილოები, აქლემები, კუ, ჟირაფი.

მსვლელობის მონაწილეებს დღესასწაული პარლამენტთან მიულოცეს დეპუტატებმა. საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა უმრავლესობიდან და უმცირესობიდან მეალილოეებს ტკბილეული გადასცეს.

მოგვიანებით მსვლელობა დედაქალაქის საკრებულოს წინ შეჩერდა, სადაც მეალილოეებს შობა-ახალი წელი დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა დეპუტატებთან ერთად მიულოცეს და მათ ტკბილეული გადასცეს.

ალილოს მონაწილეთა ჯგუფი დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. იგი პატარებს საპატრიარქოს ჭიშკართან შეხვდა. უწმინდესთან ერთად ბავშვებს დღესასწაული მიულოცეს საქართველოს მთავრობის წევრებმა და პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

პატრიარქმა პატარები დალოცა და იქ მყოფებს ნაკურთხი წყალი აპკურა. მათ ტკბილეული გადასცეს.

ალილოს მონაწილეებს შობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. მსვლელობის მონაწილე ერთი ჯგუფი პრეზიდენტის რეზიდენციაში იმყოფებოდა, სადაც მათ პრეზიდენტი მეუღლესთან ერთად და ადმინისტრაციის წევრებთან ერთად დახვდა.

პრეზიდენტმა და მისმა მეუღლემ პატარებს შობის დღესასწაული მიულოცეს და რამდენიმე კალათი ტკბილეული გადასცეს.

სადღესასწაულო მსვლელობა ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში დასრულდა. სამების ტაძარში მიტანილი შემოწირულობები ბავშვთა სახლებსა და უმწეოთა თავშესაფრებში გადანაწილდება.

ალილოს ტრადიციული მსვლელობა საქართველოს ყველა დიდ ქალაქსა და დაბაში ჩატარდა.

საქართველოში ალილოს ტრადიცია სათავეს V-VI საუკუნეებიდან იღებს. მისი აღნიშვნა 2000 წლიდან აღდგა უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ინიციატივით.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტოები

დავით ზალკალიანი:

არ მინდა, ჩემი გადაწყვეტილება ვინმეს პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს

„თავისუფალი დემოკრატების“ ყოფილი წევრი დავით ზალკალიანი საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ ინიშნება. ამჟამად, დავით ზალკალიანი, რომელმაც ირაკლი ალასანიას გუნდი 2015 წლის თებერვალში დატოვა, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდს ხელმძღვანელობს, მანამდე კი, „თავისუფალი დემოკრატების“ პროტესტს შეუერთდა და საგარეო უწყება მაია ფანჯიკიძესთან და თამარ ბერუჩაშვილთან ერთად დატოვა.

საგარეო უწყებაში განსახორციელებელ საკადრო ცვლილებებზე დავით ზალკალიანი გვესაუბრება.

— საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე შემოთავაზება ვისგან მიიღეთ?

— პირველ რიგში, მკაფიოდ ვაცხადებ, რომ თუკი დიპლომატიურ სამსახურში ჩემი დაბრუნება გადაწყდება, ეს ჩემი არჩევანი იქნება და არა რომელიმე პარტიის თუ ჯგუფის გადაწყვეტილება. პოლიტიკურ პარტიაში ჩემი საქმიანობა გარკვეული პერიოდის წინ შეწყვიტე. 2015 წლის თებერვლიდან ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ვარ და ნებისმიერი პოლიტიკური ვალდებულებისგან თავისუფალი ვარ, რადგან ეს ორგანიზაცია აპოლიტიკური და მიუკერძოებელია. ამ საკითხზე ნებისმიერი სახის ინსინუაციები და განცხადება, რომელიც ამ მიმართულებით გაკეთდება, მართებული არ იქნება. ვფიქრობ, მსგავსი ტიპის განცხადებებისგან ყველამ თავი უნდა შეიკავოს.

ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები ქვეყნის დემოკრატიულად განვითარებისთვის თვისობრივად ახალ გარემოებას ქმნის. საგარეო კურსის მიმართულებით პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებები და ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯები რწმენას მიმყარებს, რომ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური კურსი შეუქცევადია. გადაწყვეტილების მიღებისას, ჩემთვის გადამწყვეტი ეს ფაქტორები და ამ საქმისადმი ერთგულება იქნება, რომელსაც 1992 წლიდან ვემსახურები. სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით მივიღებ გადაწყვეტილებას, დავუბრუნდე თუ არა დიპლომატიურ სამსახურს.

— თქვენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტზე უკვე მუშაობდით. ეს თანამდებობა „თავისუფალი დემოკრატების“ მხარდასაჭერად დატოვეთ. კოალიციიდან ირაკლი ალასანიას გუნდის წამოსვლის მთავარ მიზეზად საგარეო კურსის მოსალოდნელი ცვლილება დასახელდა. ახლა ამბობთ, რომ ქვეყანამ კურსი არ შეიცვალა, ამ თანამდებობაზე ამიტომ ბრუნდებით?

— თქვენს კითხვაში მცირე შესწორებას შევიტან. მაშინ არ თქმულა, რომ კურსი იცვლებოდა. გარკვეული კითხვები გაჩნდა.

— მაშინ, როდესაც „თავისუფალი დემოკრატები“ კოალიციას ტოვებდით, ხელისუფლების მაღალჩინოსნები ამბობდნენ, რომ საქართველოს ევროატლანტიკური კურსი შეუქცევადი იყო. მათ შორის, მსგავს განცხადებებს რესპუბლიკელები აკეთებდნენ, რომლებიც პროდასავლური ძალა არიან. მაშინ მათი განცხადებები არ ირწმუნეთ. თუკი საგარეო უწყებაში დაბრუნდებით, არ ფიქრობთ, რომ თქვენი მხრიდან ეს ერთგვარად იმის აღიარება იქნება, რომ თქვენ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ შეცდომა დაუშვით, ან იჩქარეთ, როცა ხელისუფლება დატოვეთ? ანუ თქვენი მაშინდელი გადაწყვეტილება ემოციური იყო და არა პოლიტიკურად გათვლილი?

— დემოკრატიული საზოგადოებისთვის ემოცია ძალიან კარგია. არც ერთი დემოკრატიული საზოგადოება არ არსებობს, სადაც ემოცია არ არის. წინაღმდეგ შემთხვევაში, ავტორიტარულ ქვეყანას დავემსგავსებით, სადაც ყველასთვის ერთი გადაწყვეტილება და ზემოდან მოსული ერთი ინსტრუქცია მისაღები იქნება და მას ყველა დაეთანხმება. მაშინ განცხადებები კეთდებოდა, რომელსაც ქმედებით შემდგომი გამყარება სჭირდებოდა. იმ პერიოდში ეჭვი გაჩნდა, რომელიც გარკვეულწილად საფუძვლიანი იყო და მაშინ ამის შესახებ არაერთხელ მისაუბრია.

— თქვენ არ დაგიკონკრეტებიათ, საგარეო უწყებაში დაბრუნების თაობაზე შეთავაზება ვისგან მიიღეთ — ეს იყო პრემიერი თუ საგარეო საქმეთა მინისტრი?

— კონსულტაციები საგარეო საქმეთა მინისტრთან მქონდა და როგორც წესია, მოლაპარაკებები პროცედურების დაცვით წარიმართა. მათი მადლიერი ვარ, რომ გავახსენდი და სულერთი არ არის ის საქმიანობა, რომელსაც დიპლომატიაში ვეწეოდი. მიხეილ ჯანელიძესთან ერთად ასოციირების ხელშეკრულების პროცესში ვიყავი ჩართული და მეამაყება, რომ ჩემი და ჯანელიძის ხელმოწერა ასოციირების ხელშეკრულების პარაფირების დოკუმენტზეა ასახული. გიორგი კვირიკაშვილი და მიხეილ ჯანელიძე ჩვენი ქვეყნის გულანთებული პატრიოტები არიან, მათთან ძალიან საქმიანი ურთიერთობა მქონდა და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები რწმენას მიმყარებს, რომ ჩვენი ქვეყნის ევროპული კურსი შეუქცევადი იყო.

— გასაგებია, რომ თქვენ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა არ გსურთ და დიპლომატიურ სამსახურში ყოფნა გირჩევნიათ, მაგრამ საგარეო უწყებაში ბერუჩაშვილის მსგავსად, თქვენს შესაძლო დაბრუნებას საზოგადოების კრიტიკა მოჰყვა. სოციალურ ქსელში თქვენი ნაბიჯი გააკრიტიკეს. საქმე პრინციპების რყევასთან ხომ არ გვაქვს?

— მგონი, ჩემი არჩევანი კარგად ავხსენი. გადაწყვეტილება ერთ დღეს არ მიმიღია და მეორე დღეს არ შემიცვლია. 14 თვეა, რაც პროცესებს ვაკვირდები. რაღაცის ტყვეობაში არ უნდა ვიყოთ, ცხოვრება ვითარდება. ადამიანები ვართ და ჩვენ იმის უნარი გვაქვს, რომ განვლილი პერიოდი გავაანალიზოთ, რა იყო სწორი, რისი გაკეთება შეიძლებოდა უფრო უკეთესად, ან რისი აცილება შეიძლებოდა თავიდან. ყოველთვის ჩემი პრინციპების ერთგული ვიყავი, თანამდებობაზე გამოკიდებული არასოდეს ვყოფილვარ და ყოველთვის იქ ვიდექი, სადაც ჩემი მეგობრები იდგნენ და ვისთან ერთადაც ღირებულებებსა და ფასეულობებში ერთიანი ვიყავი. უპირველეს ყოვლისა, ჩემი ქვეყნის ინტერესებიდან გამოვდივარ. თუკი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, შემეძლება, რომ ამ პროცესებში ჩემი წვლილი შევიტანო და ვინც მიცნობს, ვერავინ ვერ იტყვის, რომ უპრინციპო ადამიანი ვარ და ოდესმე ჩემი პრინციპებისთვის მიღალატია.

— თქვენი გადაწყვეტილების თაობაზე „თავისუფალი დემოკრატები“ საქმის კურსში წინასწარ ჩააყენეთ, თუ ეს საჭიროდ არ ჩათვალეთ?

— იქედან გამომდინარე, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი დიდი ხანია აღარ ვარ, ყველანაირი პოლიტიკური ვალდებულებებისგან თავისუფალი ვარ და მათთან ამ საკითხზე კონსულტაციები არ მქონია.

— თქვენს გეგმებს თქვენი ყოფილი თანაგუნდელების რეაქციები უკვე მოჰყვა. ვიქტორ დოლიძემ თქვენ პროფესიონალ პიროვნებად შეგაფასათ და გადაწყვეტილებაც დადებითად მიიჩნია, ირაკლი ალასანიამ კი სოციალური ქსელის საშუალებით მოგმართათ — „დავით, კაცი ხარ კაცური. იქნებ, შენს ძველ-ახალ კოლეგებს შთააგონო, მთელი რეგიონი და მსოფლიო რომ ომშია ჩაფლული, საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით, განსაკუთრებით დღეს, საქართველოს ცა დაცული უნდა იყოს! გამიხარდება, თუ თავდაცვის იარაღის თემა ამოიწევს და ისე სრულმასშტაბიანად გაკეთდება, როგორც ჩაფიქრებული იყო“. ალასანიას ეს მოწოდება ირონიულია თუ მეგობრული?

— ეს თემები საქართველოსთვის ძალიან სენსიტიურია, სოციალური ქსელის პოსტებით ურთიერთობა მე არ მახასიათებს და უმჯობესია, რომ ამაზე უფრო საქმიანი საუბარი იყოს. არ მინდა, რომ ჩემი შესაძლო გადაწყვეტილება საგარეო უწყებაში დაბრუნებასთან დაკავშირებით, ვინმემ რაღაც პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისთვის, ან პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს. პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და პოლიტიკურ არჩევანში აბსოლუტურად თავისუფალი ვარ. ვფიქრობ, რომ კეთილი სურვილები, რომელიც ჩემი მეგობრებისგან გამოითქვა, გულწრფელი და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იყო და არ მინდა დავიჯერო, რომ აქ ირონიაა.

— ალასანიას განცხადებაში ერთგვარი პროგნოზიც იყო, რომ ძველ-ახალ კოლეგებს მისი დანაპირები შთააგონოთ მანამდე, სანამ „თავისუფალი დემოკრატები“ მთავრობაში შემოდგომაზე მთელი შემადგენლობით მოვლენ..

— ვინ სად მოვა და როგორ მოვა, ეს საქართველოს მოქალაქეებმა დემოკრატიული არჩევნებით უნდა გადაწყვიტონ, რომელიც 2016 წელს ჩატარდება და ის იქნება ყველაზე უფრო დემოკრატიული, გამჭვირვალე და მსოფლიო ცივილიზებულ სტანდარტის შესაბამისი, რადგან არჩევნების ჩატარების კუთხით, საქართველომ სერიოზული გამოცდები ჩააბარა.

ესაუბრა
თეონა მანაგაძე

◎ ამერ-იმერი

თავშესაფარში ნებისმიერი ადამიანი იქნება მიღებული

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, დედაქალაქში არსებული მიუსაფრების ძირითადი კონტინგენტი, აღრიცხულია. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, ნებისმიერი მიუსაფარი თბილისში, სადმე არის თუ არა რეგისტრირებული, თავშესაფარში იქნება მიღებული.

„ვინც კარვებში იყვნენ, გადაყვანილი არიან ცივილურ თავშესაფრებში. იმ შემთხვევაში თუ დამატებითი მიუსაფარი აღმოჩნდება ქუჩაში, რასაკვირველია, ჩვენი შესაბამისი სამსახურები და საპატრულო პოლიცია ამასთან დაკავშირებით შესაბამის რეაგირებას გააკეთებენ. როგორც წესი, საპატრულო პოლიცია ან სასწრაფო დახმარების სამსახურს მოჰყავს შესაბამისი კონტინგენტი ადგილზე, რეგისტრაციას აკეთებს თავშესაფარი და შემდეგ ხდება ამ ადამიანების განთავსება. მე დამატებით გავეცი განკარგულება იმის შესახებ, რომ მიუხედავად იმისა, მიუსაფარი თბილისში, სადმე არის თუ არა რეგისტრირებული, რა თქმა უნდა, ნებისმიერი ადამიანი იქნება მიღებული და დროებით განთავსებული, ვიდრე გაირკვევა ამ ადამიანის შემდგომი ბედი“, — განაცხადა დავით ნარმანიამ მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ.

ბესელიამ კილაძისა და ელისაშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა

დეპუტატი ეკა ბესელია ჟურნალისტ ელისო კილაძესა და შეწყალების კომისიის ყოფილ თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილს სასამართლოში უჩივის. სარჩელი სასამართლოში მისმა ადვოკატმა გიგა კვერენჩხილაძემ შეიტანა.

მისი თქმით, კილაძე და ელისაშვილი ბესელიას მიმართ არაერთ ცილისმწამებლურ განცხადებას აკეთებენ, სარჩელით კი ამ განცხადებების უარყოფას მოითხოვენ. ელისაშვილი და კილაძე ეკა ბესელიას ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდებულების მფარველობაში ადანაშაულებენ.

ჯილდოდ — იარაღი!

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს იარაღის ჯილდოდ გადაცემის უფლება მიენიჭება. ამის შესახებ „სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ჯილდოდ გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მთავრობის დადგენილებაში ცვლილება შედის.

შსს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა განმარტა, რომ „მთავრობის დადგენილებით, განსაზღვრული იყო ის უწყებები, რომელთა ხელმძღვანელებსაც აქვთ უფლება, ჯილდოდ იარაღის გადაცემისა. ცვლილებებით, ამ ნუსხას დაემატა კიდევ ერთი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური“.

შეგახსენებთ, აღნიშნული უფლებით ამ დრომდე სარგებლობდა თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურის ხელმძღვანელობა.

მედიკამენტების ხარისხის კონტროლი იზრდება

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა სერგეენკომ აღნიშნა, მთავრობის სხდომაზე „სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის 2016 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი განიხილეს, რომელიც ამ საკითხსაც მოიცავს.

„ეს პროგრამა მოქმედებდა წინა წლებში, თუმცა პროგრამაში შედის გარკვეული ცვლილება, რომელიც გაზრდის სამკურნალო საშულებების ხარისხის კონტროლს. კერძოდ, ის ითვალისწინებს არამარტო ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო, ამ საკითხში აკრედიტებულ ლაბორატორიაში ხარისხის გადამოწმებას. ხარისხის კონტროლი მოიცავს გრძელ ჯაჭვს და თუკი აქამდე ხორციელდებოდა მხოლოდ საწარმოდან გამოშვებული და ექსპორტით შემოტანილი მედიკამენტების ერთჯერადი კონტროლი, ამჯერად ეს იქნება მთელი ჯაჭვი, რომელიც მოიცავს იმ ნედლეულის სერტიფიცირების შემოწმებას, რომელიც შედის საწარმოში და შემდგომ მედიკამენტად გადაიქცევა. თუკი აქამდე ხარისხის კონტროლი ხორციელდებოდა არჩევითად, ადგილობრივ სამხარაულის სახელობის ლაბორატორიაში, რომელიც ამაში არ არის საერთაშორისო აკრედიტაციის მფლობელი, წელს დაემატება მედიკამენტების ხარისხის საერთაშორისო ევროპულ ლაბორატორიებში გადამოწმება“, — განაცხადა დავით სერგეენკომ.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

◎ ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

კარლო ჩხეიძის ის ისტორიული რეპლიკა

„როდესაც შენი წინაპრები ტყეში დაეხეტებოდნენ, ჩემები ევანგელეს თარგმნიდნენ...“

კარლო ჩხეიძე

კარლო ჩხეიძეს მთლად ირაკლი წერეთელივით არ დაეგდო შეუდარებელი მჭევრმეტყველის სახელი, თუმც არც მას ჰკლებია ორატორული ცეცხლი, მგზნებარება, მახვილგონიერება.

თუნდ ის გახმაურებული ეპიზოდიც რომ გავიხსენოთ რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს იმ სხდომიდან, უკიდურესად მემარჯვენე დეპუტატი ვლადიმირ პურიშკევიჩი კარლო ჩხეიძეს შეურაცხმყოფელ რეპლიკას რომ ესროდა, პირადად მისი და მთელი მისი მოდგმის დამამცირებელსაც:

— რა ენაზე ლაპარაკობს ეს კავკასიელი მაიმუნი?

კარლო ჩხეიძე განრისხდებოდა, მაგრამ თვით სიბრაზეც ვერ დააკარგვინებდა წონასწორობას და პასუხად ისეთ ფრაზას შეაგებებდა, პურიშკევიჩსაც მწარედ აწვნევინებდა ამ კადნიერებას და მთელ მის მოდგმასაც:

— КОГДА ВАШИ ПРЕДКИ ПО ЛЕСАМ БРОДИЛИ, НАШИ – ЭВАНГЕЛИЕ ПЕРЕВОДИЛИ!

ამ ისტორიული რეპლიკის შინაარსი ადვილი გასაგებია და, ჩვენს სალიტერატურო მიმოქცევაში რომ დატრიალდებოდა, კიდეც გამოეძებნებოდა ქართული შესატყვისი:

— როდესაც შენი წინაპრები ტყეში დაეხეტებოდნენ (დაწანწალებდნენ), ჩემები ევანგელეს თარგმნიდნენ.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ... ეს ხომ პწკარედია. შინაარსი შინაარსად, მაგრამ ასე ხომ იკარგება კარლო ჩხეიძის რეპლიკის მთელი მადლი — მისი აფორისტული სისხარტეც, მოქნეულობაც და კეთილხმოვანებაც, რიტმი რომ განსაზღვრავს. და ნურც ის გამოგვრჩება, რითმაც რომ იელვებს.

ამიტომ ეგებ პწკარედის ნაცვლად მისი შესაფერისი ამეტყველება გვეცადა?

თუნდ ასე:

— შენები ტყე-ღრე რომ დაჩიქჩიქებდნენ, ჩემები სახარებას აწიკწიკებდნენ.

უკეთესადაც შეიძლება?

რატომაც არა, ოღონდ... ეს უკვე თქვენ მოსინჯეთ. მე რაც მოვახერხე, ესაა, და თუ ოდესმე უფრო მარჯვედაც შევუთანასწორებ ქართულ ფრაზას რუსულ სტრიქონს, იმასაც გამცნობთ.

სხვა რომ არაფერი, რაც ხშირად გავიმეორებთ, მით უკეთესი!..

და არა რუსებისთვის ნიშნის მოსაგებად. უფრო იმიტომ, საკუთარ თავს შევახსენოთ ჩვენთა წინაპართა დიდებული საქმენი და მეტი მოვალეობის შეგნებით განვიმსჭვალოთ თანამედროვეთა და შთამომავლობის წინაშე.

ისე პურიშკევიჩი რომ ხარ, იმდენი ჭკუა მაინც გეყოს, კარლო ჩხეიძე არ გამოიწვიო და იმის ყბაში არ ჩავარდე, ბოლოს და ბოლოს, როდესაც შენი წინაპრები ტყე-ღრე დაჩიქჩიქებდნენ, მისი და ჩვენი ძველები სახარებას აწიკწიკებდნენ.

კარლო ჩხეიძემ სახარებისა რა იცოდა?

აბა თუ არ იცოდა!..

როსტომ ჩხეიძე.

(ექსკლუზიურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“)

ფანჯრებთან ნისლები...

ჩვენ გვიღალატა ძველმა ჟურნალმა, მაგრამ მთავარია, ძველ მეგობრებსაც ღალატს არ ვამჩნევდეთ (ჟურნალი აუცილებლად დაგვიბრუნდება)...

არადა, ვანო ჩხიკვაძემ შეესაძლოა, მართლა იეჭვიანოს: „ლექსები — 2014“ — ზე გამოხმაურება დავაგვიანე. მან ხომ არ იცის, რომ შვიდი დღეა (ახალი წლიდან ქრისტეს შობამდე), მისი წიგნი სასთუმალთან მიდევს და პირველი ფრაზის „კარნახს“ ველოდები.

და, უფლის წყალობით, ისევ გალაკტიონმა მიშველა.

ტიციანიც უნდა ვახსენო.

მურმან ლებანიძეც — აუცილებლად!

სწორედ მურმანი წერდა (გალაკტიონის გამღმერთებელი!), პოეტური არმიები რომ შექმნილიყვნენ, მე ტიციანის არმიაში ვიქნებოდიო („წამიძეხ სანთლით და ჩამრიცხე შენს ამალაში“).

დარწმუნებული ვარ, ვანო ჩხიკვაძეც იმ არმიაში იქნებოდა, ტიციანთან და ლადო ასათიანთან ერთად.

არადა, მისი პოეტური ხმა და მელოდია არც ერთისას ჰგავს და არც მეორისას.

ასე, მურმანიც მათგან სრულიად განსხვავებულია.

საერთო რა აქვთ და ერთ არმიაში რატომ იქნებოდნენ? — ის, რაც მურმან ლებანიძემ ერთხელ, ლადოზე და ტიციანზე საუბრისას, ასე განმიმარტა: „მშობელი მიწის ტკივილამდე მძაფრი სიყვარული.“

დიახ, ხმა და მელოდია აუცილებლად შენი უნდა გქონდეს, ტკივილი კი — საერთო.

ვანო ჩხიკვაძის ხმა და მელოდია ესაა:

ჩაფიქრებული სხედან მისნები,
თეთრი მთები და ლურჯი ნისლები,
მიდი — მოდიან.
გაღმა — გამოღმა,
დაჭკნა იელი. ტევრი ჩამოხმა.
მტაცებს ხმელ ფოთოლს ხელისგულიდან,
დავიწყებისკენ ქარი მიაფრენს.
იმ სამოთხიდან,
იმ წარსულიდან,
ჩემს სიზმრებს ისევ აფორიაქებ...
მოვდივარ. შენი ნატვრით ვივსები.
ისევ მთები და ისევ ნისლები...

აქ ვერც ტიციანს შეხვდებით, ვერც ლადოსა და ვერც მურმანს.

მათეულ ტკივილებს კი უხვად ნახავთ.

ვანო ჩხიკვაძესაც, მათსავით, გულით ხანჯლები დააქვს.

და უპირველეს საფიცარს ასე ელაპარაკება:

ვიდრე ხელებში ჩამიტყდება საწუთროს ჯამი,
მითხარი მაინც —
ვინ დაგარქვა ნეტავ სამშობლო —
შენ ხარ ტკივილი გაუსაძლისი
და ამიტომაც ჩემს სიმღერებს
სიხარული არ ანებივრებს!

ანდა როგორ გაანებივრებს, როცა მის სამშობლოს

კავკასიონის მოაჯირზე გადაკიდული საფენივით
ბერტყავენ,
შოლტსა და სახრეს უჟაპუნებენ
და ღდინს აცლიან...

სხვათა შორის, ლექსი, რომლიდანაც ეს სტრიქონები მოვიხმე, იმ (არა)კაცს ეძღვნება, ვინც ჩვენს სამშობლოს შოლტს თავადაც დაუნდობლად უჟაპუნებდა, რადგან ამით ძალაუფლებით ტკბობას იხანგრძლივებდა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია ამ კრებულში, მწარე სიმართლის ორიგინალურად გამომხატველი. გაგაოცებთ კიდეც პოეტის დაუნდობელი პატიოსნება:

მიდის უწყინარი ბერიკაცის
ფლასში გახვეული,
მიდის სამშობლოს
ალალი ცრემლით დაუტირებელი
და გეხვეწები,
გემუდარები,
ვინც ხვალ სამშობლოს სისხლზე
უნდა დაიგეშოს,
ასე ნუ დაამთავრებს თავის სიცოცხლეს...

და სრულიად საპირისპირო ლექსი — ობოლ მწერალზე, მთაწმინდა რომ გულში იხუტებს:

ტორტმანებს ხალხი,
წუხს მიკროფონი.
ავანსცენიდან უხმოდ გადის მზე,
აქ კი მჯიღს იცემს ვინმე იუდა,
და ეღიმება მის ცრუ ქადილზე
მას, ვინც ილიას ფერხთით
მიუწვა.

...„ხანჯლების“ გარდა, კიდევ ერთი რამით ჰგავს მურმანს ვანო ჩხიკვაძე — ყოველწლიური კრებულებით. ამ მხრივ ორივე გალაკტიონის რჩევას მისდევს: „დრო, დრო აღნიშნე, მოაწერე ლექსს ეს წელიწადი, დღე და საათი!“

ვანო ჩხიკვაძეც აღნიშნავს და აწერს.

საბედნიეროდ, არც სათქმელი ელევა და არც მისი გამოხატვის ფორმები.

ტკივილებს კი ისედაც რა დაულევს.

ეს საქვეყნო ტკივილებია, მხოლოდ ხანდახან თუ გამოერევა ხოლმე პირადული, მოუწყობელი ყოფით გამოწვეული. ამ დროსაც გულწრფელი, პოეტური და სულის შემარხეველია მისი საწუხარი:

უცოდველ სტრიქონებს
ვეძახი — მომკალით!
კვლავ წვეთავს ღამეში
მოშლილი ონკანი...

ონკანი, როგორც იქნა, შეაკეთებინა, მაგრამ ეს მის დარდს მაინც ვერ შეამცირებს, რადგან იქვე, იმავე ლექსში ეს სტრიქონებია:

კართან მათხოვრები,
ფანჯრებთან ნისლები...

„ბოლო დროს ვანო ჩხიკვაძის ლექსებს ერთი „ფილოსოფიური“ დარდიც შეეპარა — სიკვდილსა და ამაოებაზე ფიქრი:

ზამთრის საღამოებია,
ვიღაც ჩამჩიჩინებს ისევ:
— მოხველ ამაოებიდან
მიხვალ ამაოებისკენ...

ერთ ლექსში კი ამას ამბობს:

მინდა, წუთისოფელი
მეც არ გამოვიღამო,
საით უნდა წავიდე,
ღმერთო, რომ არ ვინანო!

პოეტები ეჭვიანი ხალხია, თორემ ვანო ჩხიკვაძეს, წესით, ეს კითხვა არ უნდა აწუხებდეს.

ბოლომდე ვერც იქ დავეთანხმები, სამშობლოს რომ მიმართავს:

შენთვის გვირგვინის დამდგმელი
ნეტავ თუ ვინმე დარჩა —
მკერდზე მჯიღი რომ დაიკრას,
ასეთი კაციც არ ჩანს...

მჯიღისა რა მოგახსენოთ (ასეთები ყოველთვის იქნებიან!), სამშობლოზე გულწრფელად მოდარდენი კი, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შემოგვრჩნენ.

ერთს ამ კრებულით ვხედავ...

იოსებ ჟუმბურიძე.

მინაწერი: „ლექსები — 2015“ ამ წინასიტყვაობით“ სულ მალე გამოვა. იმ კრებულს, იმედია, ისევ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდან გამოვეხმაურები, ანუ „ხიდისთავს შეკრული პირობა“ აღარ დაირღვევა. მანამდე „თბილისის“ გამოცემაც რომ აღდგეს, სიტყვას მაინც არ გადავალ...

◎ ტვინგაყინულთა გასაგონად!

პიეტა არა რატი ამაღლობლისა, არამედ ბატი (ბატიკუნა) დამდაბლობლისა...

ჩვენი გაზეთის წინა, საშობაო ნომერში, ფეისბუქიდან ამოკრებილ სტრიქონებს შორის არის ასეთი ფრაზაც: „რატი, უარესი რომ არ მიირთვა, ჭამე რა, გოზინაყი, ახალი წლის დღეებია!“ რატი პოეტად ცნობილი რატი ამაღლობელია, გოზინაყის ჭამას კი იმიტომ ურჩევენ, რომ, როგორც ფეისბუქელი ავტორი უწერს, ბოდიში, მაგრამ, მან თავისი დედისა მიირთვა, როცა ჩვენი პატრიარქის სალანძღავი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულწილად შეურაცხმყოფელი ვაილექსი გამოაქვეყნა სათაურით: „პიეტა მიწისქვეშა გადასასვლელში“. აი, ბატონო, ის ბაჯაღლო სტრიქონებიც:

პატრიარქი გაიყინა,
საკუთარ დაბადების დღეზე გაიყინა,
83 წლის მოხუცი პატრიარქი
მეტროს ჩასასვლელში,
მიწისქვეშა გადასასვლელში
გაიყინა.
დიახაც, მე მიყვარს პატრიარქი,
ჩემი გაყინული პატრიარქი,
მიწისქვეშეთის მისადგომებთან
წაქცეული.
უცხო, უცნობი, განდევნილი,
როგორც პირველი ქრისტიანი,
მე მიყვარს პატრიარქი
მეტროს ჩასასვლელში გაყინული.
მას არავინ მიულოცავს
დაბადების დღეს,
არავინ უმღერებს ოდებს.
დაე, დატირება, ეს მცირე დატირება
წაგყვეს, უწმინდესო, იქ,
სადაც მართალნი განისვენებენ.

პიეტა, მოგეხსენებათ, იტალიური სიტყვაა და ხელოვნებაში ნიშნავს ნახატს, რომელზედაც გამოსახულია ჯვრიდან ჩამოხსნილი იესო ქრისტეს დატირება... და პოეტად ცნობილმა რატიმ, გვარად ამაღლობელმა, რატომღაც მეტროს ჩასასვლელში, თბილისის ერთ-ერთ არცთუ გაწკრიალებულ მიწისქვეშა გადასასვლელში, ასე დაიტირა ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი თვითონ პატრიარქის დაბადების დღეს... რატომ მიწისქვეშ? რატომ შობის წინ? რატომ მაინცდამაინც პატრიარქის 83 წლისთავის დღეს? რატომ მიწისქვეშეთის მისადგომებთან წაქცეული? თანაც უცხო, უცნობი და განდევნილი? რატომ გაყინული? და რადგან თურმე არავინ მიულოცავს დაბადების დღეს, არავინ უმღერებს ოდებს, პოეტად ცნობილი ამაღლობელი სიცოცხლეს უსწრაფებს ერის სულიერ მამას: დაე, ეს ჩემი მცირე დატირება წაგყვეს, უწმინდესო, იქ, სადაც მართალნი განისვენებენო...

ერისა და ჩვენი სარწმუნოების პატივისმცემელმა, ამჯერად სამართლიანად გაბრაზებულმა ბლოგერებმა სწორედ ამიტომ დაუწერეს, ბოდიში, მაგრამ ნამდვილად დედიშენისა მიირთვი, როცა ასეთი უწმინდური რამ გამოაქვეყნეო... შევარცხვინეთ შენი კაცობაც, შენი პოეტობაც, შენი ჯიშიცა და ჯილაგიცაო...

ასე ფიქრობს ქართულად, მამაპაპურად მოაზროვნე ქართველ ბლოგერთა უმრავლესობა, მაგრამ ასე სულაც არ ფიქრობს კალამთან საეჭვოდ მოარშიყე ევროატლანტიკურად განწყობილი ის ერთი ჯგუფი, რომელსაც სულ ფეხებზე ჰკიდია ყოველივე ტრადიციული ქართული და მხოლოდ და მხოლოდ ევროპულ-ამერიკულად ეტრაკუცუნება და ქვეყნის მომავალსაც სწორედაც ჩვენი საზოგადოების გატრაკუცუნებაში ხედავს.

ამ ჯგუფში, რატიკუნას გარდა, მოიაზრება ლაშიკუნაც (ბუღაძე), რომელმაც ეგრევე ამოიწვადა თავისი რეაქტიული კალამი, და „რადიო თავისუფლების“ გვერდზე საკუთარი ბლოგით გამოესარჩლა მართლმორწმუნე ბლოგერთაგან სამართლიანად შეჩვენებულ მეგობარსა და კოლეგას: ვინც მას „ჯიშსა“ და „ჯილაგს“ ულანძღავს, უნდა შევახსენო, რომ იგი პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის შვილთაშვილიაო... და, ჩვეულებისამებრ, გვმოძღვრავს, „როგორ წავიკითხოთ ლექსი“.

„ვფიქრობდი, დამერთო თუ არა ეს მინაწერი, — აბუღრავებს ბატის ფრთას ბუღაძის ბიჭი, — **მაგრამ რაკი ამ ლექსის ავტორის** (გულისხმობს ამაღლობლის ლექსს — „პიეტა მიწისქვეშა გადასასვლელში“) **მიმართ გასაგები ემოციური დამოკიდებულება მაქვს და ყოველთვის მტკივნეულად აღვიქვამ მისდამი უსამართლო გამოხტომებს, იმათ, ვინც მას „ჯიშსა და ჯილაგს“ ულანძღავს და მოქმედ თუ გარდასულ სასულიერო პირთა ღვაწლის შესწავლა-დაფასებისკენ მოუწოდებს, უნდა შევახსენო, რომ ხსენებული ლექსის ავტორი პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის შვილთაშვილია და პატრიარქთა ღვაწლის ისტორიას უშუალოდ თავის პირად საოჯახო ბიბლიოთეკაში და, რაც მთავარია, მეხსიერებაში ინახავს, ხოლო მისი ტექსტის თეოლოგიურ ასპექტს ჭკვიანი მკითხველი, დარწმუნებული ვარ, ისედაც მიხვდება. რატი ამის შესახებ წლების წინ დაბეჭდილ ერთ-ერთ ინტერვიუში საუბრობს კიდეც: „მეამაყება, რომ კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე ჩემი დიდი ბაბუა გახლდათ, რომელიც, ამავე დროს, ძალიან დიდი მეცნიერი იყო. გიორგი ქართველიშვილიც მეამაყება, რომელიც ასევე ჩემი დიდი ბაბუა იყო, და რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ გამოსცა პირველად. მან მოიწვია ზიჩი და დაასურათებინა იგი“...**

ჩვენ, ვინც ვერ გავიგეთ რატიკუნას ტექსტის თეოლოგიური ასპექტი თურმე ჭკვიანი მკითხველები არ ვყოფილვართ და ამიტომაც ვერ მივმხვდარვართ, რისი თქმა სურდა გერმანულად განათლებამიღებულ მგოსან რატიკუნას.

ჩვენ კი, ამ არაჭკვიან მკითხველებს, ისღა დაგვრჩენია არა კალამგატრაკუცუნებულ ლაშა ბუღაძეს, არამედ იმ მართლმორწმუნე ქართველ ბლოგერებს დავეთანხმოთ, ვინც „მიწისქვეშა გადასასვლელში პიეტას“ ავტორის გვარ-სახელის შეცვლას გვთავაზობს, და ამიერიდან იგი მოვიხსენიოთ როგორც მგოსანი ბატი (ბატიკუნა) დამდაბლობელი, რომელიც, მიუხედავად კალისტრატე ცინცაძისა და სულმნათი გიორგი ქართველიშვილის შვილთაშვილობისა, სულაც არ ინახავს ქართველ პატრიარქთა ღვაწლის ისტორიას არც უშუალოდ თავის პირად საოჯახო ბიბლიოთეკაში და, რაც მთავარია, მით უმეტეს, არც „ანტიეროვნული ფილოსოფიით გაბინძურებულ მეხსიერებაში“.

ეშმაკის ფეხის ხმას აყოლილო რატიკუნა (დღეის ამას იქით ბატიკუნა) და ლაშიკუნა ამ ჩვენს წკეპლიკუნას თუ კალმიდან ჩამოხსნილი ვაიპოეტის პიეტად (დატირებად) აღიქვამთ, დიდად კმაყოფილი დაგრჩებით.

ისე, ალბათ, უპრიანი იქნება, თუ ამ სამარცხვინო პიეტის (დატირების) ავტორისთვის ბატის (ბატიკუნას) შერქმევისთვის ბოდიშს მოვუხდი ბატებს, რომელთაც, ბევრი მებატიბუტე ვაიკალმოსნისგან განსხვავებით, თავიანთი „პატრიოტული ყიყინით“ თვით რომის იმპერიის თავქალაქი გადაარჩინეს!...

გურამ გოგიაშვილი

◎ საბედისწერო გასროლა

ილიას მკვლელის აქამდე უცნობი აღიარება

ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ 1907 წლის 30 აგვისტოს მთელი საქართველო შეძრა. საზოგადოებისთვის ცნობილია მისი მკვლელების მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენებები, თუმცა, ნაკლებადაა ცნობილი ილიას ერთ-ერთი მკვლელის — პავლე ფშავლიშვილის ჩვენება, რომელიც მან ჯერ კიდევ დაკავების მომენტში დუშეთის საპოლიციო უბანში გადაყვანამდე მისცა.

ამ აღიარებით ჩვენებას, გაზეთ „ისრის“ 1908 წლის ერთ-ერთი ნომერი ავრცელებს.

„როგორც ვწერდით, პოლიციამ ნადიროვის მამულში, ალექსი მზელურის სახლში, დააპატიმრა პავლე ფშავლიშვილი და ლადო ფეიქრიშვილი, რომელთაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობას აბრალებენ. ამაზე ადრე დააპატიმრეს ბაგრატ ოგანოვი და ფილიპე მაზმანაშვილი. დაპატიმრებულნი დუშეთის სამაზრო საპატიმროში გადაიყვანეს. პოლიცია კვლავ განაგრძობს კვლევა-ძიებას. როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, გზაზე ლადო ფეიქრიშვილი გამოსტეხია ბოქაულს და უთქვამს: **„პავლე ფშავლიშვილმა მიამბო, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობა მიიღეს საგურამოში ყველასაგან ცნობილ მამასახლისად ნამყოფ ვანო ინაშვილის მეთაურობით პავლე ფშავლიშვილმა (აფციაური), გიგლა ბერბიჭაშვილმა და ერთმა იმერელმა, რომლის გვარი არც პავლემ იცისო“.**

მაზრის სამმართველოში რამდენისამე კაცის თანდასწრებით, როგორც გვატყობინებენ, მაზრის უფროსის შეკითხვაზე პავლე ფშავლიშვილი გამოტეხილა და უთქვამს ის, რაც ფეიქრიშვილს გზაში ბოქაულისთვის უამბნია. **ფშავლიშვილს ისიც გამოუცხადებია, რომ მე და ჩემი ამხანაგები ჩავუსაფრდით ჭავჭავაძეს 30 აგვისტოს 1907წ. სოფელ წიწამურის მახლობლად. მეო, უთქვამს ფშავლიშვილს, მაღლობზე ვიდექ და ვდარაჯობდი, როდის გამოივლიდა ილია ჭავჭავაძის ეტლი. როდესაც ეტლი მოგვიახლოვდა, მე დავისტვინე. ინაშვილი და სხვები დაემზადნენ. ეტლი შეაჩერებინეს და პირველათ ჭავჭავაძეს ტყვია ინაშვილმა დაახალა. მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო გიგლა ბერბიჭაშვილმა და ერთმა იმერელმა, რომლის გვარი არ ვიცი, ვიცი კი, რომ ის იმერელი ამ რამდენისამე ხნის წინათ ტფილისში რევოლვერის ტარებისთვის დააპატიმრეს და გადაასახლეს რუსეთში. მკვლელობის შემდეგ ავედით ტყეში, გადავიარეთ ტყეტყე ზედაზნის მონასტრის გვერდით და შემდეგ სოფელ ავჭალაში ჩავედით; აქედან კი ტფილისს მივაშურეთ და ნაძალადევში ვცხოვრობდითო“,** — წერს გაზეთი „ისარი“ ილიას მკვლელის ჩვენების ფრაგმენტს (სტილი დაცულია).

NSP.ge

18 წლის ვანო ხოსიტაშვილი გმირი მებრძოლი ყოფილა!

როგორ დაიკარგა ლიტერატურული ნაშრომები იროდიონ ევდოშვილის ვაჟის, რომელიც სახადით 20 წლის ასაკში გარდაიცვალა

იროდიონ ევდოშვილის (ხოსიტაშვილი) ვაჟის ვანო ხოსიტაშვილის გარდაცვალებას ბევრი ადამიანისათვის დაუწყვეტია გული.

პორტალი nsp.ge, 1921 წელს გამოცემულ გაზეთ „სახალხო საქმეში,“ ირودიონ ევდოშვილის ვაჟის ვანო ხოსიტაშვილის გარდაცვალების ამბავს გაეცნო, რომლის თანახმადაც ის, 20 წლის ასაკში სახადით გარდაცვლილა.

ვანოს ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად წარმოებულ არაერთ ბრძოლაში ჰქონია მონაწილეობა მიღებული და ყველგან მხნეობისა და ვაჟკაცობის მაგალითი დაუტოვებია. აი, როგორ ეხმიანება გაზეთი „სახალხო საქმე“ ახალგაზრდა მებრძოლის გარდაცვალებას:

„პარასკევს, იანვრის 7 ღამის 4 საათზე ირودიონ ევდოშვილის ერთადერთი ვაჟი ვანო ხოსიტაშვილი, დაბადებიდან 20 წლისა, სახადით გარდაიცვალა.

სამი უქმი დღისა და უგაზეთობის გამო ვერ გამოცხადდა ეს უბედურება. მისი ნეშთი მიწას მივაბარეთ მახლობლებმა იანვრის 9 კვირას.

საშინელებას იგრძნობდა ადამიანი გულმოკლული დედის უიმედო გოდებით და სამი მცირეწლოვანი დის თავგანწირული წივილ-კივილით.

ვანო ახალგაზრდურის გატაცებით იბრძოდა ორ წელიწადს სამშობლოს დამოუკიდებლობის დასაცავად, იგი ხან ფრონტზე იყო, იბრძოდა ყველგან: ახალციხეში, როდესაც ოსმალები გვედევნებოდნენ, ქართლში, ოსების აჯანყების ჩასაქრობად, სომხეთთან ბრძოლაში.

ყველგან მხნეობის და ვაჟკაცობის მაგალითს იძლეოდა. ორი გიორგის ჯვარი მიიღო.

ვანოს ლიტერატურული ნაშრომებიც ჰქონია, რაც შესაძლოა საყურადღებო აღმოჩნდეს თუ ხელთნაწერებს გადავათვალიერებთ, — წერს გაზეთი „სახალხო საქმე“ (სტილი დაცულია).

P. S. სამწუხაროდ, ირودიონ ევდოშვილის ვაჟის შემოქმედებას დღემდე არ მოუღწევია და სავარაუდოდ ის გასული საუკუნის 20-იან წლებში განადგურდა.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

შობის სოხუმური დღესასწაული

შობა – აფხაზეთის ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საყვარელი დღესასწაულია.

შობა – პირველმა აღნიშნა სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მრევლმა. 6 იანვარს 11 საათზე ქალაქ გაგრაში ქრისტე მარჩენალის სომხურ ეკლესიაში გაიმართა საშობაო ლიტურგია. სომხები იესო ქრისტეს შობას აღნიშნავენ ნათლობასთან ერთად, დღესასწაული კი ატარებს ღვთისმოსავის სახეს.

6 იანვარს 23 საათზე სოხუმის წმინდა ღვთისშობლის ხარების საკათედრო ტაძარში დაიწყო საყოველთაო ლოცვა და ღვთიური ლიტურგია. ხარების დღესასწაული მოაწყვეს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა ბესარიონმა (აპლია) და იერომონარქმა დავითმა (გვაზავამ).

ახალ ათონში სიმონ კანანელის წმინდა სამოციქულო მონასტერში აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიტმა მოაწყო საახალწლო სამსახური. ღვთისმსახურება განახორციელა არქიმანდრიტმა დოროფეიმ (დბარი).

სოხუმში თავისუფლების მოედანზე აღდგომის აღსანიშნავად გაიმართა ინტერაქტიური წარმოდგენის დღესასწაული „ზამთრის ზღაპარი“. ფიფქიასთან და თოვლის ბაბუასთან შეხვედრა რომ გამართულიყო, ნორჩ მაყურებლებს უნდა ამოეცნოთ ყველა ზღაპრის სახელწოდება, რომელთა ფრაგმენტებსაც მათ მსახიობები უჩვენებდნენ. წვიმის მიუხედავად, ყველას განწყობილება იყო საუცხოო, მას ახალისებდნენ ორი მახვილსიტყვა და მხიარული ბაყაყი, რომლებიც პატარებს აჭმევდნენ ტკბილეულებს და თამაშობდნენ მაყურებლებთან ერთად.

„ზამთრის ზღაპარი“ დადგა სოხუმის დამხმარე სკოლის დირექტორმა და სტუდია „არლეკინოს“ ხელმძღვანელმა ვიქტორია ტარკილმა. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქორეოგრაფიული სტუდიის „აბიფინის“ აღსაზრდელებიც.

გვესაუბრება სტუდია „აბიფინის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ვერონიკა პოლუექტოვა: „ზამთრის ზღაპრის“ წარმოდგენა ხდება აღდგომის დღეს, წმინდა დღესასწაულის დღეს. დამხმარე სკოლის და თეატრალური სტუდიის „არლეკინოს“ აღსაზრდელები, აგრეთვე ხელოვნების სოხუმის სკოლის ანსამბლ „აბიფინის“ მონაწილეები იძლევიან ახალ საახალწლო წარმოდგენას ჩვენთვის ნაცნობი ზღაპრებიდან – „წითელქუდა“, „კოკორი“, „ბურატინო“, „კონკია“, ცეროდენა“ და სხვა. ეს არის ინტერაქტიური თამაში მაყურებელთან“.

შობის დღეს ყველაფერი აუცილებლად ბრწყინვალედ მთავრდება და თამაში დამთავრდა ბაბუაწვერასთან და ფიფქიასთან შეხვედრით. ნორჩი მაყურებლები და მათი მშობლები ზღაპრის გმირებს ხვდებოდნენ ხმაურითა და მხიარულებით. დღესასწაული დამთავრდა ნათელი და დიდი სალუტით.

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებს და ტერმინოლოგიას, რომლებსაც იყენებენ თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკებში.

Эхо Кавказа

◎ პერსპექტივა

როდის დავეწევით ამ ტემპით ესტონეთს?

მსოფლიო ბანკ: საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2018 წლისთვის 5 პროცენტს მიაღწევს

მსოფლიო ბანკის ახალი ანგარიშის („გლობალური ეკონომიკის პერსპექტივები“) თანახმად, მსოფლიოში არასახარბიელოდ გამოიყურება 2015 წელს ეკონომიკის ზრდის ტემპი, რაც განვითარებადი მსხვილი ქვეყნების უკუსვლით არის განპირობებული. გლობალური ეკონომიკის ზრდის მიმართულებით 2016 წელს მხოლოდ მცირედი წინსვლაა მოსალოდნელი. ამ ფონზე მსოფლიო ბანკი უახლოეს წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის 5 %-მდე გაზრდას პროგნოზირებს. რამდენად დამაიმედებელია ეს მაჩვენებელი საქართველოს ეკონომიკისთვის და რა შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს საპროგნოზო მაჩვენებლები?

როგორც მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის ჯიმ იონ კიმის წერილობით განცხადებაშია ნათქვამი, 2015 წლის არასახარბიელო სტატისტიკა წინდახედული ქმედებების აუცილებლობას აჩენს:

„მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის 40 %-ზე მეტი ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში, სადაც 2015 წელს ზრდა შენელდა. აუცილებელია, რომ, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების პირობებში, განვითარებადმა ქვეყნებმა ყურადღება გაამახვილონ მდგრადობის ამაღლებასა და მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების დაცვაზე. მმართველობის სფეროს რეფორმირებამ და ბიზნესის წარმოებისთვის პირობების შექმნამ შესაძლოა, უზრუნველყოს მნიშვნელოვანი სარგებელი და დააბალანსოს ზეგავლენა, რაც მსხვილ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის შენელებიით არის გამოწვეული“.

ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ეკონომიკური ზრდა 2015 წელს 2,1 %-მდე შემცირდა, თუმცა ანალოგიური მაჩვენებელი სახარბიელო არც 2014 წელს ყოფილა და ის 2,3 %-ს შეადგენდა. ძირითად მიზეზებად ნავთობის ფასის მკვეთრი შემცირება, უკრაინის კრიზისი და ამ კრიზისის გამო რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები სახელდება. რაც შეეხება საქართველოს, 2014 წლის 4,8 %-იანი ზრდის შემდეგ, მსოფლიო ბანკის ცხრილის თანახმად, 2015 წელს აღინიშნა მნიშვნელოვანი ვარდნა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 2,5 % შეადგინა. აქვე გავიხსენოთ, რომ შარშანდელი მაჩვენებლები ჯერ ზუსტად დაჯამებული არა აქვს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატს). წინასწარი შეფასებით კი, 2015 წლის პირველი თერთმეტი თვის საშუალო რეალურმა ზრდამ 3,0 % შეადგინა.

მსოფლიო ბანკის ახალ ანგარიშში მოცემული ცხრილის თანახმად, შემცირებას ზრდის ტენდენცია ჩაანაცვლებს: **2016 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 3 % იქნება, 2017 წელს – 4,5 %, ხოლო 2018 წელს ეს მაჩვენებელი 5 %-საც მიაღწევს.**

ასეთ ოპტიმისტურ პროგნოზს ქვეყანაში გატარებული – მიმდინარე თუ დაგეგმილი – რეფორმების დამსახურებად მიიჩნევს „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ თავმჯდომარე შოთა გულბანი და, როგორც ის ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, 2018 წლისთვის 5 %-იანი ზრდის მიღწევა სავსებით რეალისტურია, მაგრამ გარანტიის მოცემა არავის შეუძლია:

მსოფლიო ბანკის წინასწარი ოპტიმისტური პროგნოზები არაერთხელ შეცვლილა და ამ შემთხვევაშიც (5 %-იან ზრდასთან მიმართებით) სწორედ ასეთი მოლოდინი აქვს საქართველოს რეფორმების ასოციაციის წარმომადგენელს ზვიად ხორგუაშვილს. მაგრამ, როგორც მან უთხრა რადიო „თავისუფლებას“, 3, 4 თუ 5-პროცენტიანი ზრდა ისედაც ბევრს ვერაფერს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას:

„უბრალო მათემატიკის საკითხია, რომ გადავიანგარიშოთ, მაგალითად, აღმოსავლეთევროპული ქვეყნის – ესტონეთის – დონეზე როდის ვიქნებით. 80 წელიც არ გვეყოფა, 3 %-იანი ზრდით რომ დავეწიოთ ესტონეთის დღევანდელ დონეს. ეს არის ძალიან დაბალი ეკონომიკური ზრდა... და, ჩემი აზრით, საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ 9-10 %-იანი ეკონომიკური ზრდაც აჩვენოს. ჩემი აზრით, სწორი მიდგომაა საჭირო“.

თუკი ისევ მსოფლიო ბანკის ანგარიშს დავუბრუნდებით, **2018 წლისთვის, როცა საქართველოს ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 5 %-ს შეადგენს, 2,7%-ია აზერბაიჯანის მაჩვენებელი, ხოლო სომხეთს 3 %-იან ზრდას უწინასწარმეტყველებენ. ამავე ცხრილის თანახმად, შედარებით გაუმჯობესდება რუსეთის ეკონომიკის საქმეც და 2017 წელს 1,3 %-მდე, ხოლო 2018 წელს 1,5 %-მდე გაიზრდება.** 2015 წელს ეს მაჩვენებელი –3,8 %-ს შეადგენდა, ხოლო წლევანდელი პროგნოზით, ეკონომიკური ვარდნის ტემპი –0,7 %-ით განისაზღვრება. თუმცა ბევრი ანალიტიკოსი რუსეთის ეკონომიკის ვარდნის ტემპის შემცირებასა და ზრდის ტემპის გაზრდას არარეალისტურად მიიჩნევს ნავთობის ფასის შემცირებისა თუ დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციების პირობებში.

მსოფლიო ბანკის თანახმად, საპროგნოზო მაჩვენებლების გაუარესება შეიძლება გამოიწვიოს, მაგალითად: გეოპოლიტიკური გარემოს გაუარესებამ, ნავთობის ფასის ვარდნის ტენდენციის გაგრძელებამ ანდა აშშ-ის საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრების ციკლზე მიბმული საფინანსო ბაზრის სტრესმა.

ლელა კუნჭულია

დედამიწის ზურგზე

თეთრმა სახლმა გამოაძვეყნა კლინტონის სიტყვები პუტინის „უზარმაზარი პოტენციალის შესახებ“ – „მას შეეძლო ჩაფლულიყო დემოკრატიაში“

განხილულ დოკუმენტთა შორისაა ბილ კლინტონისა და ტონი ბლერის სატელეფონო საუბრის გაშიფვრა. ტონი ბლერი მაშინ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი იყო. „ვფიქრობ, ის ძალიან ჭკვიანი და ჩაფიქრებული კაცია. ჩვენ შეგვიძლია მასთან ერთად ბევრი კარგი საქმის გაკეთება“, – ამბობდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინზე.

ავსტრალიაში ტყის ხანძარმა პრაქტიკულად გაანადგურა ისტორიული ქალაქი

მაშველები კვლავ ეძებენ იარლუპის სამ მცხოვრებს. ქალაქში დაახლოებით 600 კაცი ცხოვრობს. ზარალის ბოლომდე შეფასება ჯერჯერობით შეუძლებელია იმის გამო, რომ ხანძარი კვლავ მძვინვარებს. ცხადია, რომ ხანძარმა გაანადგურა ქალაქის უმეტესი ნაწილი.

შვეიცარიასა და ავსტრიაში დაადასტურეს „საახალწლო მაძიებლების შემთხვევა“

ციურიხისა და ზალცბურგის პოლიციელები ახალწლის ღამით იკვლევენ საზოგადოებრივი საღამოების დროს სექსუალური მაძიებლობის შემთხვევებს. ქალები უჩიოდნენ მამაკაცებს, რომლებსაც „მუქი ფერის“ კანი ჰქონდათ.

ობამამ სი-ენ-ენზე საიარაღო ბაზრის რეგულირების საზოგადოებრივი განხილვის ინიციირება მოახდინა

არაჩვეულებრივი იყო არა იმდენად პრეზიდენტის მოწოდება, რომელიც თანმიმდევრულად გამოდის იარაღის გაყიდვის შეზღუდვაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგულარულად მიმდინარე მასობრივი დახვრეტების ფონზე, რამდენადაც ფორმატი: ობამასთან ურთიერთობა მიმდინარეობდა ვაშინგტონის გარეუბანში ჯორჯ მაისონის უნივერსიტეტში მოქალაქეებთან შეხვედრის სახით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალ წელს მოხდა პირველი სიკვდილით დასჯა

ოსკარ რეი ბოლინი მიიჩნიეს დამნაშავედ 1986 წელს სამი ქალის გატაცებასა და მკვლელობაში. იგი გაასამართლა ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ათმა შემადგენლობამ. თუმცა ამან ხელი არ შეუშალა ერთ-ერთ ადვოკატს, რომელსაც დამნაშავე შეუყვარდა და გათხოვდა მასზე.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში კიმ ჩენ ინის დაბადების დღეს იმართება მიტინგები, მსოფლიოში კი ფიქრობენ, თუ უკეთესად როგორ დასაჯონ იგი

კორეის ნახევარკუნძულზე და მთლიანად მსოფლიოში გრძელდება რეაქცია ჩრდილოეთი კორეის დემარშზე წყალბადის ბომბის გამოცდასთან დაკავშირებით. სამხრეთმა კორეამ განაახლა პროპაგანდა საზღვრის მიღმა. ამერიკის შეერთებული შტატები ფიქრობს ფხენიანზე ზემოქმედების ახალი, კიდევ უფრო ეფექტიანი მეთოდების შესახებ.

წარსულის დაშიფრული გზავნილი

ტაროს ბანქოს ქაღალდის ისტორია საუკუნეებს ითვლის და ამჟამადაც დიდ ინტერესს იპყრობს. მათ ოდითანვე წინასწარმეტყველებისა და მედიტაციისთვის იყენებდნენ, ყიდულობენ სათამაშოდ და კოლექციისთვის.

ყველაზე ადრეული ცნობებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ევროპაში ტაროს ბანქოს ქაღალდი მუსლიმანური აღმოსავლეთიდან მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში მოხვდა. პირველად მას მხოლოდ თამაშებში იყენებდნენ, მაგრამ მე-18 საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული მათი მეშვეობით წინასწარმეტყველება დაიწყეს.

ტაროს დასტა 56 ქაღალდისგან შედგება, რომლებიც უმცროსი არკანების სახელითაა ცნობილი. არის კიდევ 22 ეგრეთ წოდებული უფროსი არკანი.

იმის მიუხედავად, რომ უმცროსი არკანების სამეფო კარისა და ციფრული ქაღალდები ჩვენთვის კარგად ცნობილ ბანქოსთანაა დაკავშირებული, სრულიად საფუძვლიანად შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავად ტარო გაცილებით დიდი ხნისაა. ერთ-ერთი ჰიპოთეზით, ტაროს ბანქო ეგვიპტური იეროგლიფების საფუძველზე წარმოიშვა და ფარაონების ხანაში საიდუმლო ტაძრის კედლებზე ჭედური ფრესკების კრებულს წარმოადგენდა, სადაც უმთავრესი ოკულტური ჭეშმარიტებები იყო გამოსახული. სხვა ვერსიით, ტაროს 22 უფროსი არკანი ტამპლიერთა (მეტაძრეთა) ბერ-მონაზონთა ორდენის სწავლების დაშიფრული ჩანაწერია, რომლის დანიშნულებაა ცოდნის უსაფრთხოდ, შემთხვევით მოწმეთაგან დაფარულად გადაცემა. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ ევროპაში ტარო აზიიდან ბოშებმა შემოიტანეს, სხვა ვარიანტით ის არაბებმა შექმნეს, ევროპაში კი ჯვაროსანმა რაინდებმა ჩამოიტანეს, არსებობს კიდევ ეჭვი იმაზე, რომ ის ინდოეთში გამოიგონეს და ჭადრაკის უძველეს ანალოგს წარმოადგენდა.

თუმცა, ტაროს წარმოშობის თაობაზე სხვადასხვა შეხედულების ჩამონათვალი სრული არ იქნება, თუ არ ვიტყვით, რომ ბევრი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ტაროს ბანქო მითიური ატლანტიდის ცივილიზაციის ნაყოფია.

უნდა ითქვას, რომ ტაროს პირველ დასტებს ცნობილი მხატვრები ასურათებდნენ, ამიტომ მათი ქონა მხოლოდ დიდებულებს შეეძლოთ. 1500 წლიდან კი მათი ბეჭდვაც დაიწყეს, რამაც ხალხში დიდი პოპულარობა მოუტანა.

პირველ დასტებში უფროსი არკანები მუდმივი კოზირების როლს ასრულებდნენ, გარდა მასხარისა, რომელიც ნებისმიერი ქაღალდის მაგივრობას სწევდა. უმცროსი არკანების დანარჩენი 56 ქაღალდი და 4 მასტი, როგორც ჩანს, ოთხ წოდებას შეესაბამებოდა: დაშნები – დიდებულებს, თასები – სასულიერო პირებს, მონეტები – ვაჭრებსა და მოქალაქეებს, კვერთხები – გლეხებსა და მსახურებს. მეფის კარის ბანქოს ქაღალდები – პაჟი, რაინდი, მეფე და დედოფალი, არისტოკრატიის ოთხ რანგს აღნიშნავდა მათი ძალაუფლების მატებისდა მიხედვით. მოგვიანებით, ბანქოს ქაღალდების ბეჭდვის გავრცელებასთან ერთად, მათ თანამედროვე ფორმა მიიღეს და ამჟამად, **გული, აგური, ჯვარი** და **ყვავი** ეწოდებათ.

ამჟამად მსოფლიოში ტაროს ბანქოს ქაღალდების უამრავი ნაირსახეობაა, რომლებიც „კლასიკურის“ გარდა, ცხოვრების გარკვეულ ასპექტებს, აგრეთვე საკუთარი თავის შემეცნების საშუალებას იძლევა.

გაიღიმეთ და ნუ შფოთავთ!

სამყარო რთულია და ნაირფერი, ამდენად, ადამიანმა მასთან ურთიერთობა უნდა ისწავლოს, ხოლო როცა ამ არც თუ მარტივ ამოცანას გადაწყვეტს, ცხოვრებაც უფრო გაუადვილდება და ჯანმრთელობაც უკეთესი ექნება.

ჩინურ მედიცინაში, რომელიც, არსებითად, ერთიან ცხოვრებისეულ ფილოსოფიას წარმოადგენს, ჩვენი ყოფის გარკვეული წესებია ჩამოყალიბებული. მათი მიყოლა კი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ტონუსის შენარჩუნების წინაპირობაა. აი, ამასთან დაკავშირებით რამდენიმე რჩევა:

გაიღიმეთ!

თქვენი თვალები მუდამ უნდა იღიმებოდნენ და სიყვარულით უნდა გავსებდნენ. თუკი კაცი გულმოსულია ან სევდიანი, ნერვიულობს ან შეშინებულია, მისი ორგანიზმი მომწამლავ ნივთიერებებს გამოყოფს. ხოლო თუ იგი სიკეთეს ასხივებს, მაშინ ორგანიზმი სამკურნალო ნივთიერებებს გამოიმუშავებს.

ნაკლები ილაპარაკეთ

ყოველთვის დაუფიქრდით იმას, თუ როდის, სად და რას ლაპარაკობთ, არამედ იმასაც, თუ როგორ იტყვით ამას. ერთსა და იგივე სიტყვებს შეუძლიათ მკეთრი უარყოფის ანდა, პირიქით, მშვიდი მადლიერების გრძნობის გამოწვევა.

ნაკლები იფორიაქეთ და მეტი აკეთეთ

არ ღირს წარსულსა და მომავალზე ბევრი ფიქრი, რადგან ამის შედეგი მუდამ შფოთვაა. ამას გიჯობთ, პრობლემაზე კონცენტრირება და გამოსავლის გამოძებნა.

განავითარეთ გონების ძალა

ბევრ აღმოსავლურ ენაში ცნებები „ჭკუა“ და „გული“ ერთი სიტყვით აღინიშნება. გონებრივი ძალის განსავითარებლად დაოსური ტექნიკა გამოიყენება. როცა იმ დონეს მიაღწევთ, რომ პირადული ამბიციები აღარ შეგაწუხებენ, როცა საკუთარი თავის დავიწყებასა და გულის განვითარებას შეძლებთ, სნეულებებისგანაც განიკურნებით.

ფეხები სითბოში იქონიეთ, თავი – სიცივეში

თავი უფლის, გონებისა და სულის ტაძარი, მთელი ორგანიზმის მართვის ცენტრია. ამიტომაც მას დიდი პატივით უნდა მოეპყრათ. სიცივე კი მას ჭარბი ენერგიის დაგროვებას აარიდებს, რომლის გამო შეიძლება წნევა აგეწიოთ და ტკივილები წარმოგეშვათ. ფეხების თბილად ყოფნისას ენერგია ტერფებისკენ მიიმართება, რაც წნევას ამცირებს და გულის შეტევებს აგარიდებთ. სითბო კისერსაც სჭირდება, ამიტომ მასაც ნუ დაძაბავთ და სიყვარულით მოეპყარით.

ზომიერად იკვებეთ, ჭარბი სმა-ჭამა ჯანმრთელობას ანგრევს. იმოძრავეთ!

ნებისმიერი ფიზიკური აქტივობა ჯანმრთელობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ. ეცადეთ 23.00 საათზე დაიძინოთ – ამ დროს ღვიძლი უკვე უნდა ისვენებდეს. პაპანაქება სიცხეშიც სვით ცხელი ჩაი, რადგან საჭმლის მოსანელებლად კუჭს „ცეცხლი“ სჭირდება. კერძების მომზადებისას მათ შაქარი და მარილი ძალიან მცირე ულუფებით დაუმატეთ. კანი კი მზისგან უნდა დაიცვათ.

განტვირთვა აუცილებელია!

ამერიკელი სექსოლოგები ჩატარებული კვლევების შედეგად აცხადებენ, რომ სექსის დროს ქალმა აუცილებლად უნდა განიცადოს ორგაზმი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ისეთი ავადმყოფობები განუვითარდეს, როგორებიცაა მასტოპათია ან მიომა.

გაირკვა, რომ ორგაზმის არქონისას ქალის ორგანიზმი სერიოზულ სტრესს განიცდის, რა დროსაც ესტროგენების ჰორმონების დონე იწევს და სისხლი სასქესო ორგანოებს აწვება. ორგაზმის დროს კი ორგანიზმი უძრავი სისხლისგან იწმინდება, რასაც სნეულების გამომწვევი ბაქტერიების დახოცვა მოყვება.

როცა კაცს თვალთ გიბნელდება...

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ეროტიკული სურათების ხილვა... დროებით თვალისჩინის დაკარგვას იწვევს.

აღმოჩნდა, რომ ეროტიკული შინაარსის სურათების ნახვის შემდეგ, ადამიანებს ხშირად ამის მერე უცბად დანახული ვიზუალური სახეების აღქმა და დამუშავება უჭირთ იმის გამო, რომ რამდენიმე წამით „ბრმავდებიან“.

გამოკვლევისას სპეციალისტები მოხალისეებს ჩქარ ტემპში ასობით არქიტექტურული კომპოზიციებისა და პეიზაჟების სურათებს აჩვენებდნენ და მოცემული გამოსახულების დაფიქსირებას სთხოვდნენ. ამასთან, სურათებში რამდენიმე პროვოკაციული სექსუალური გამოსახულებაც იყო შერეული. აღმოჩნდა, რომ მოხალისეები უბრალოდ „ვერ ამჩნევდნენ“ ეროტიკული შინაარსის სურათის შემდეგ მომდევნო რამდენიმე ფოტოს.

თვალისჩინის დაკარგვის ეფექტი დროებითი მოვლენაა, იგი რამდენიმე წამის განმავლობაში გრძელდება, მაგრამ ჩატარებული გამოკვლევა მეტად მნიშვნელოვანია გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების დონის ასამაღლებლად. საქმე ის არის, რომ მთელ რიგ ქვეყანაში დაწყებულია საკმაოდ დიდი კამპანიები გადატვირთული ავტომაგისტრალების გასწვრივ სექსუალური რეკლამის განთავსების ასაკრძალად.

ეს საზიზღარი მაღვიძარა

მათ, ვისაც გახდომა სურს, თავისით უნდა გაიღვიძონ, „შინაგანი საათით“ და არა მაღვიძარას ზარზე, დაბეჯითებით აცხადებენ გერმანელი მეცნიერები.

მათი აზრით, ძილისა და ფხიზლობის დრო ორგანიზმში ჰორმონების გამომუშავებისა და სხეულის ტემპერატურის მიხედვით დგინდება. თუკი კაცის დღის რეჟიმი ჰორმონების გამომუშავების პროცესს არ ემთხვევა, მაშინ ორგანიზმი საკვებს სხვანაირად ითვისებს. მაგალითად, იმის მაგივრად, რომ მისგან ენერგია მიიღოს და დახარჯოს, ის მას ცხიმის სახით აგროვებს. ყველაზე მეტად ასეთ შეუთანხმებლობას ხელს უწყობს არა მარტო ცვლებში მუშაობა და ზაფხულის დროზე გადასვლა, არამედ ისიც, რომ ადამიანს დილაობით ადგომა გამუდმებით არ უნდა.

მადაზე მომყვანი... სტრესი

დარწმუნებული ვართ, რომ ბევრ ჩვენგანს მიუქცევია ყურადღება ერთ უცნაურობაზე, რომელიც მატარებელში მგზავრთა აბსოლუტურ უმრავლესობას ემართება: როგორც კი შემადგენლობა გამგზავრების სადგურიდან იძვრება, ხალხი მაშინვე ჭამას იწყებს.

ამასთან დაკავშირებით ფსიქოლოგები განმარტავენ, რომ როცა კაცი მიემგზავრება, ეს მაშინვე აისახება მის ბიოლოგიაზე – სისხლსა და ნერწყვში ნორმალურისგან განსხვავებული ნივთიერებები ჩნდება. მეცნიერები სისხლისა და ნერწყვის ანალიზებს უღებდნენ სამხედრო მეზღვაურებს, რომლებიც შორეულ ნაოსნობაში გადიოდნენ, გამგზავრებამდე, ნაოსნობის დროს და შინ დაბრუნების წინ. სტრესის ყველაზე მაღალი დონე პირველმა და ბოლო გაზომვებმა აჩვენა. როცა ადამიანი ნორმაში ჯდება, სტრესი გადის, ცვლილების მოლოდინიც კი – უკვე სტრესია. ამდენად მატარებელში სტრესი ახალი ვითარების გამო წარმოიშვება: ადამიანი ირგვლივ უცხო ხალხს ხედავს, ფიქრობს იმაზე, თუ როგორ მოეწყობა ახალ ადგილზე და ა.შ. იმის გამო, რომ სტრესს დიდი ენერგია მიაქვს, მაშინვე ინსტინქტი იწყებს მოქმედებას – დანაკლისის ასანაზღაურებლად საჭიროა ძალების შევსება. ხოლო როცა საჭმლის სუნი მთელ ვაგონში იწყებს ტრიალს, მაშინ ჭამას ისინიც იწყებენ, ვინც თავდაპირველად ამის გაკეთებას არც ფიქრობდა.

იქ, სადაც მერცხლები დაფრინავენ...

მსოფლიოში ყველაზე დიდი, ფორმით უჩვეულო და, რაც მთავარია, უსაფრთხო პანორამულ ბორბალს 2018 წლისთვის მოსკოვში ააგებენ.

ორი საქორწინო ბეჭდის ფორმის მქონე ამ სანახაობრივი ატრაქციონის სიმაღლე 221 მეტრი იქნება, შპილთან ერთად კი – 275 მეტრი. შედარებისთვის ვიტყვით, რომ ამჟამად ყველაზე დიდი ასეთი ბორბალი სინგაპურშია და მისი სიმაღლეა 165 მეტრი.

მოსკოვის პანორამულ ბორბალს 48 კაბინა ექნება 36-36 კაცის ტევადობით. სრულ ბრუნს ბორბალი ნახევარ საათში შეასრულებს.

მეორე ბორბალი კი ჰორიზონტული იქნება, მასში კაფე-რესტორნები, მუზეუმები, საგამოფენო დარბაზები და ზამთრის ორანჟერეები განთავსდება.

ამჟამად ბორბლის ასაშენებელ ადგილს არჩევენ, შესაძლო ვარიანტებია მდინარე მოსკოვის ნაპირი, ბოტანიკური ბაღი ან ლუჟნიკი.

◎ დაჯილდოება

სპორტის სამინისტროს რჩეულნი

198 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 274 ბრინჯაოს მედალი — ასეთია ქართველ სპორტსმენთა მონაგარი 2015 წელს. ამ წარმატებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თავისუფალ ჭიდაობაში ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის ვლადიმერ ხინჩეგაშვილის გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატზე — მან მოჭიდავეთა 10-წლიანი უსიამოვნო ტრადიცია დაარღვია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მსოფლიოს ჩემპიონია ძალოსანი ლაშა ტალახაძეც (მძიმე წონა). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა (ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, მერი არაბიძე, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია, კაპიტანი დავით ჯოჯუა, მთავარი მწვრთნელი ელიზბარ უბილავა) ჩინურ ჩენგდუში პირველად მოიპოვა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონობა. ცხადია, ყველა მიღწევის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ შეუძლებელია, არ აღინიშნოს მეტად მნიშვნელოვანი რამდენიმე ფაქტი: თბილისმა შესანიშნავად უმასპინძლა ფეხბურთში უეფას სუპერთასის მატჩს „ბარსელონასა“ და „სევილიას“ შორის, ევროპის ჩემპიონატს ძალოსნობაში და, რაც მთავარია, ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს. ამ

გრანდიოზული ასპარეზობის ჩასატარებლად საქართველოს დედაქალაქს ექვსი ახალი სასპორტო ობიექტი შეემატა: ფრენბურთისა და ტანვარჯიშის სასახლეები ორ-ორი დარბაზით, საწყლოსნო კომპლექსი, „მზიურის“ ჩოგბურთის კორტები (9 ღია და 2 დახურული), მძლეოსნობის სტადიონი 3000 მაყურებელზე და ახალი სპორტის სასახლე ორი დარბაზით. სწორედ ამ სასახლეში გაიმართა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2015 წლის შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც 10 ნომინაციაში გამოავლინეს რჩეულნი.

წლის საუკეთესო სპორტსმენად მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი დაასახელეს.

დანარჩენ ნომინაციებში საუკეთესოდ ცნეს:

სპორტსმენი ქალი — მშვილდოსანი ხათუნა ნარიმანიძე, პირველი ევროპული თამაშებისა და ევროპის ზამთრის ჩემპიონატის პრიზიორი.

მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ სხირელი, ვლადიმერ ხინჩეგაშვილის, გიორგი გოგშელიძის, ოთარ თუშიშვილისა და სხვა სახელოვან ფალავანთა აღმზრდელი.

ახალგაზრდა სპორტსმენი — ზვიად პატარიძე, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი.

პარასპორტსმენები — ირმა ხეცურიანი, ფარიკაობაში მსოფლიო პირველობის პრიზიორი და მსოფლიო თასის მფლობელი; ზვიად გოგოჭური, ძიუდოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი.

სპორტის არაოლიმპიურ სახეობებში — ვახტანგ ჩიდრაშვილი, სამბოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი.

გუნდი — მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

მსაჯი — თემურ ყაზარაშვილი, რომელმაც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე ფინალური შეხვედრები იმსაჯა.

სპორტული ფედერაცია — ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი).

მენეჯერი — დავით ქევხიშვილი, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი.

სპეციალური პრიზებით დაჯილდოვეს:

წლის აღმოჩენა — ძიუდოისტ გოგონათა ნაკრები.

წლის კაპიტანი — მორაგბე მამუკა გორგოძე.

ბიზნესკომპანია — ვითიბი ბანკი.

სპორტულ მედიცინაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის — ოლიმპიური გუნდის ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი.

სტუდენტური სპორტის მხარდაჭერისთვის — საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ).

ტარიელ ხეჩიკაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი: 2015 წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოვიპოვეთ, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. 2016-ში ახალი გამოწვევების წინაშე ვდგავართ, რადგან ოლიმპიური წელია. მთავრობა მხარს გვიჭერს. შარშან თუ 70 მილიონი გამოგვიყვეს, წლეულს დაფინანსება 20 მილიონით გაიზარდა. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ რიოს თამაშებზე წარმომადგენლობითი დელეგაციით წარვდგეთ და, რაც მთავარია, წინა ოლიმპიადებთან შედარებით, მედლების რაოდენობა გავზარდოთ, ხარისხი გავაუმჯობესოთ და ყველამ ერთად ვიზეიმოთ დიდი გამარჯვებები.

ლაშა დიდია

◎ წყალბურთი

მეორედ — ევროპულ ელიტაში

საძართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები (ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია, ზურაბ რურუა, მიხეილ ბაღათურია, გიორგი ხვედელიანი, ხვიჩა ჯახაია, რევაზ იმნაიშვილი, კონსტანტინე გეგელაშვილი, ივან სტრუიჩი, მარკო ელეზი, მარკო ელაჩა, ანდრია ბითაძე, მწვრთნელები — იოვან პოპოვიჩი და ვლადიმერ ისელიძე) მეორედ ჩაებმება ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპში, რომელიც ხვალ სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში დაიწყება. მედლებისთვის 16 გუნდი იბრძოლებს. წილისყრით ისინი ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ:

A ჯგუფი. ჩერნოგორია, ესპანეთი, ჰოლანდია, სლოვაკეთი;

B ჯგუფი. სერბეთი, ხორვატეთი, საფრანგეთი, მალტა;

C ჯგუფი. იტალია, რუმინეთი, გერმანია, საქართველო;

D ჯგუფი. უნგრეთი, საბერძნეთი, თურქეთი, რუსეთი.

გადამწყვეტ რაუნდში მოსახვედრად ჩვენმა გუნდმა წარმატებით გაიარა ორი საკვალიფიკაციო ეტაპი: ჯერ თბილისის ტურნირში იოლად სძლია პორტუგალიასა (21:3) და შვეიცარიას (21:9), ხოლო სლოვაკეთთან დაძაბულ პაექრობაში 10:11 დამარცხდა. შემდეგ ისრაელშიც იყოჩაღა - ისრაელისა (17:6) და ლატვიის (18:6) ნაკრებ გუნდებს აჯობა, ჰოლანდიასთან კი ფრეს (5:5) დასჯერდა, რაც მიზნის მისაღწევად საკმარისი აღმოჩნდა.

C ჯგუფში აშკარა ფავორიტია იტალია. სამი ოლიმპიური ოქრო (1948, 1960, 1992), ორი ვერცხლი (1976, 2012) და ამდენივე ბრინჯაო (1952, 1996), მსოფლიოს ჩემპიონატებზე — 3 ოქრო (1978, 1994, 2011), 2 ვერცხლი (1986, 2003) და ერთი ბრინჯაო (1975). იტალიელებმა ყველაზე მეტი ჯილდო ევროპის ჩემპიონატებზე მოიხვეჭეს — 3 ოქრო (1947, 1993, 1995), 2 ვერცხლი (2001, 2010) და 6 ბრინჯაო (1954, 1977, 1987, 1989, 1999, 2014) — ასეთია აპენინელთა არასრული მონაგარი საერთაშორისო სარბიელზე. ცხადია, ისინი სერბეთის დედაქალაქშიც საპრიზო სამეულისთვის იბრძოლებენ.

გერმანელებს ტიტულები უფრო ადრეულ წლებში მოუპოვებიათ: ოლიმპიურ თამაშებზე 1928 წელს ოქროს, 1932 და 1936 წლებში ვერცხლის, ხოლო 1984 წელს ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. მსოფლიოს ჩემპიონატებზე მხოლოდ ერთხელ დაიკავეს მესამე ადგილი (1982), ევროპაზე კი 2 ოქროს (1981, 1989) და 5 ბრინჯაოს ჯილდო (1926, 1931, 1934, 1938, 1995) მოიხვეჭეს. რუმინელებს საპრიზო ადგილები არა, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში, ევროპის ჩემპიონატებში, მსოფლიოს ლიგასა და მსოფლიოს თასებზე მეოთხე ადგილები აქვთ დაკავებული. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობას 11 იანვარს სწორედ რუმინეთით იწყებს. ჩვენმა ბიჭებმა დეკემბრის მიწურულს კარპატელებს სტამბოლის თასზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში 12:9 მოუგეს. ამავე შეჯიბრებაზე სამი წლის წინათაც აჯობეს მეტოქეს 10:9. ამის მიუხედავად, დადებითი ბალანსი მაინც რუმინელთა მხარესაა — ოფიციალურ შეხვედრებში მათ ქართველი წყალბურთელები ოთხჯერ ჰყავთ დამარცხებული. ვნახოთ, რას მოგვიტანს მე-7 ორთაბრძოლა.

აქვე ბელგრადის „კომბანკ არენაზე“ C ჯგუფის შეხვედრათა განრიგსაც გაგაცნობთ:

11 იანვარი. საქართველო-რუმინეთი, გერმანია-იტალია,

13 იანვარი. საქართველო-გერმანია, იტალია-რუმინეთი,

15 იანვარი. საქართველო-იტალია, გერმანია-რუმინეთი.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

ქართული ქულები

ევროლიგის მეორე ჯგუფური რაუნდის მეორე ტურში ხორვატულმა „ცედევიტამ“ საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული გამთამაშებლის ჯეისონ პულენის (25 ქულა) ძალისხმევით სტამბოლში თურქულ „დარუშაფაკას“ 79:72 სძლია. მანუჩარ მარკოიშვილი მასპინძლებს 11 ქულით შეეწია, თუმცა, სამქულიანი ერთხელაც ვერ ჩააგდო.

შედარებით ნაკლები პირადი მონაგრით — 7 ქულით დაასრულა ბერძნულ გრანდ „ოლიმპიაკოსთან“ საშინაო მატჩი ბასკური „კუჩა ლაბორალის“ კიდევ ერთმა „ჯვაროსანმა“ ლიდერმა თორნიკე შენგელიამ, რაც, ბუნებრივია, წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა — 76:82.

ცსკა — „რეალი“ 95:81, „ბარსელონა“ — „ხიმკი“ 87:70.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ობამეიანგი აფრიკაში საუკეთესოა და ისტორიაში შევიდა

დორტმუნდის „ბორუსიასა“ და გაბონის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი პიერ-ემერიკ ობამეიანგი აფრიკის 2015 წლის საუკეთესო ფეხბურთელია. 26 წლის ფორვარდმა კოტ დივუარელ იაია ტურესა და განელ ანდრე აიუს აჯობა.

საბოლოო მონაცემებით ობამეიანგმა 143 ხმა დააგროვა, ტურემ — 136, ხოლო აიუმ — 112.

„ამაყი ვარ, რომ ისეთ ფეხბურთელებს ვაჯობე, როგორებიც იაია ტურე და ანდრე აიუ არიან. მინდა მომავალშიც ასეთი წარმატებული წელი მქონდეს. “არსენალი“? — სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან „„დორტმუნდში“ ვრჩები“, — თქვა პრიზის მიღების შემდეგ ობამეიანგმა.

აღსანიშნავია, რომ პიერ-ემერიკი ისტორიის ნაწილი გახდა, რადგან პირველი აფრიკელი ფეხბურთელია, რომელმაც თავის კონტინენტზე საუკეთესოს წოდება, როგორც გერმანიის ბუნდესლიგის წარმომადგენელმა მოიპოვა.

ბუნებრივია, რომ ობამეიანგი ასევე აფრიკის წლის სიმბოლურ გუნდშიც მოხვდა, რომელიც შემდეგნაირია:

მეკარე: **რობერტ კიდიაბა (კონგო);**

მცველები: **სერჟ ორიე (კოტ დივუარი), აიმენ აბდენური (ტუნისი), მოჰამედ მეფტა (ალჟირი)**

ნახევარმცველები: **ანდრე აიუ (განა), იაია ტურე (კოტ დივუარი), სადიო მანე (სენეგალი), იუნეს ბრაჰიმი (ალჟირი);**

თავდამსხმელები: **მბვანა ალი სამატა (ტანზანია), პიერ-ემერიკ ობამეიანგი (გაბონი), ბაღდად ბუნეჯა (ალჟირი).**

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ემილია აჭიასი - ქალი გამოცანა

ვეტერანი არგენტინელი ნახევარმცველის ესტებან კამბიასოს მოტვლეპილ თავზე ამოდენა საფეხბურთო კარიერის განმავლობაში იმდენ ამბავსა და ქარიშხალს არ გადაუქროლია, რამდენიც ამ ბოლო დროს, ანუ მას შემდეგ გადაქროლდა, რაც ჯერ შეხვდა და შეიყვარა, შემდგე კი მალევე დაშორდა თანამემამულე შხვართთა შორის უშხვართეს მოდელს ემილია ატიასს.

ემილია ატიასი ისეთი ქალია, ნაკვერჩხალს რომ აიღებს სხეულის სხვადასხვა ნაწილებით და მის ხელში მამრები ოდენ სათამაშოებად არიან ქცეულნი. ეს შტერი ესტებანიც თანამემამულე მოდელს ლონდონში შემთხვევით გადაეყარა, ყურებამდე შეიტრფო, და სულ რაღაც სამთვიანი ღლაბუცის შემდეგ დარჩა პირში ძუძუგამოვლებული.

როგორც დასავლური ბულვარული მედია გვაუწყებს, ეს ემილია ატიასი დიდი ოხერი ვინმეა და ნამეტნავად ხიბლავს კაცებისათვის ჯერ თავის შეყვარება, შემდეგი კი მათი გაბრიაქრუება. ჭოდა, გამოიჭირა კამბიასო, რომელიც დააშორა ცოლს, მოკეთეებს, ახლობლებს, სამი თვე წოვა სისხლი და მიაგდო გამოხრული ვაშლატამასავით. აბა, რა ეგონა?...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ „მზის ქალაქში“

ქუთაისის ოპერის თეატრი ახალ ტრადიციას ამკვიდრებს

13 იანვარს, 18 საათზე, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი საახალწლო გალა-კონცერტს გამართავს, რომლითაც ქუთაისელ მსმენელებსა და ქალაქის სტუმრებს შობას და ახალ 2016 წელს მიულოცავს. გალა-კონცერტზე მსმენელთა წინაშე წარსდგებიან თეატრის სოლისტები: **სოფიო ბერიშვილი, ნაირა კიკოლიაშვილი, ჟანეტა მაჩალაძე, ნათია სტეფანიშვილი, ფერიდე ჯინჯიხაძე, ბადრი ადამია, ლაშა თითბერიძე, რამაზ კუბლაშვილი, ბადრი სახამბერიძე, მიხეილ ქებაძე, ემილ ჩარგაზია, კალისტრატე ხარჩილავა.** კონცერტში მონაწილეობს თეატრის გუნდი

(მთავარი ქორმაისტერი – **ნათია გოგუაძე**), ორკესტრი, ქორეოგრაფიული დასი (მთავარი ქორეოგრაფი – **ვახტანგ უშვერიძე**, ქორეოგრაფი – **კოტე დოლაბერიძე**). კონცერტს უდირიჟორებს თეატრის მთავარი დირიჟორი **რევაზ ჯავახიშვილი**. ქართველი და დასავლეთევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებებისგან შემდგარი გალა-კონცერტის პროგრამა დრამატურგიულად მრავალფეროვანია და კონცეპტუალურად საინტერესო.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის **ირინე ლომინაძის** თქმით, ყოველი წლის 13 იანვარს ქუთაისის ოპერის თეატრში საახალწლო გალა-კონცერტების გამართვა ტრადიციად დამკვიდრდება.

ზურაბ თბილელი

◎ ინფორმაცია

მძღოლთა საყურადღებოდ!

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, გარემოს ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციით, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მლეთა-კობის მონაკვეთზე ქარბუქისა და ზვავსაშიშროების გამო, ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

წინასწარი ინფორმაციით, მლეთა-გუდაურის გზაზე რამდენიმე ზვავია ჩამოსული. სრული ინფორმაცია ჩამოსული ზვავების შესახებ მხოლოდ ზვავსაშიშროების მოხსნის შემდეგ ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდება. ზვავების მოცულობაზე იქნება დამოკიდებული შესასრულებელი გაწმენდითი სამუშაოების მასშტაბები და გზის გახსნის თარიღი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურები ადგილზე არიან მობილიზებული და ზვავსაშიშროების მოხსნისთანავე დაიწყებენ გზის გაწმენდით სამუშაოებს.

არსენალი სუმბათაშვილ-იუჟინის ქუჩაზე

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1981 წელს დაბადებული ნიკოლოზ თ. თბილისში, სუმბათაშვილ-იუჟინის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ნიკოლოზ თ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, „სტეჩკინ-ნეუგოდოვის“ კონსტრუქციის არარეგისტრირებული ავტომატური პისტოლეტი, „პე-ეს-ემ“-ის კონსტრუქციის არარეგისტრირებული პისტოლეტი, „არმინიუსის“ მოდელის არარეგისტრირებული რევოლვერი, „ა-კა-ეს“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, „ტოზ ბე-ემ“-ის მოდელის ორლულიანი სანადირო თოფი, 2 მაყუჩი, „ერ-გე-დე 5“-ის ტიპის 1 ცალი მსხვრევადი ხელყუმბარა, 1 ცალი ელექტროდეტონატორი, ჰექსოგენის შემცველი პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერება, ქარხნული წესით დამზადებული 2 ცალი ხიშტ-დანა და 145 ცალი საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე საერთო საკითხებში

ვახტანგ შველიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მანანა, ლადო ქორჩილავები მწუხარებით თანაუგრძნობენ მეგობარს ნუგზარ ლობჟანიძეს მამის

გოდერძი ლობჟანიძის

გარდაცვალების გამო.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

29 3-37-87

მაჩაბლის ქ. №7.

სპანგორდი



◎ „ყველა თქვენი ნაკაწრიც გვტკივა...“

მე-15 საუკუნის უნიკალური ძეგლი სასწრაფო აღდგენას საჭიროებს

სოციალურ ქსელში სამცხეში მდებარე შორეთის ტაძრის ფოტო გავრცელდა, რომელზეც ჩანს, რომ ძეგლი სასწრაფო აღდგენას საჭიროებს.

„ეს არც ლორეა და არც ტაო-კლარჯეთი, ეს აქვე, სამცხეში, შორეთის ტაძარია მე-15 საუკუნის უნიკალური ძეგლია!.. რომელიც საჭიროებს სასწრაფოდ აღდგენას.

გთხოვთ, გულისხმიერება გამოიჩინეთ და ყველამ გააზიარეთ. ჩვენზეა ამ ტაძრის გადარჩენა. სირცხვილია მართლმადიდებლურ ქვეყანაში მე-6 საუკუნის ტაძარი ასეთ დღეში იყოს!“ – აღნიშნულია გავრცელებულ განცხადებაში.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

◎ გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!..

სიმდიდრის 10 საიდუმლო, რომლებზეც არ წერენ წიგნებში

1. საუკეთესო დრო წარმატებისთვის

არ არსებობს საუკეთესო დრო იმისთვის, რომ წარმატებული გახდეთ, სწრაფად შეიცვალოთ და სიმდიდრე მოაგროვოთ – ვიდრე ეს ახლა, მოცემული მომენტია. ის, თუ როგორ ცხოვრობთ დღევანდელ დღეს, განსაზღვრავს როგორ იქნებით მომავალში.

2. იმყურეთ შორს

როცა რამეს ყიდულობთ, ყოველთვის შეაფასეთ გრძელვადიანი ეფექტიდან გამომდინარე, ანუ დააკვირდით არა იმას, რამდენს დახარჯავთ ფორმალურად მისი შეძენისას, არამედ იმას, თუ რა რესურსს, რა კაპიტალდაბანდებას მოითხოვს ეს სამომავლოდ (არამარტო ფინანსურს, არამედ დროისა და შრომის მხრივ).

3. ფულისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულება

ბევრი ადამიანი ფულის მიმართ განიცდის ორ, ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციას – სიყვარულს და სიძულვილს. უყვართ იმიტომ, რომ შეუძლიათ ფულით შენაძენის გაკეთება და დადებითი ემოციების მიღება. სძულთ, რადგან მათი უკმარისობის დროს უჩნდებათ შეგრძნება, რომ ფული მართავს მათ ცხოვრებას. თუ ფული არ არის, ადამიანები სესხულობენ ან კრედიტს იღებენ. უარი თქვით ემოციურ შენაძენებზე და საკრედიტო ბარათებზე.

4. არასწორი პროგრამირება

ადამიანების უმეტესობა ფულს თვლის ფასეულობად. ეს ასე არ არის. ფული – უბრალოდ ქაღალდია. თუ თქვენ მიზნად ისახავთ: „მინდა მილიონი დოლარი“ – ეს უაზრობაა. სინამდვილეში თქვენ ამბობთ, რომ გინდათ ქაღალდების გროვა. გააკეთე ისე, რომ მიზანი იყოს რეალური და არა ის, რომ უბრალოდ

ფული გინდათ. სწორედ ამიტომ, მდიდარი ადამიანები არასოდეს ინახავენ ქონებას ფულადი სახით.

5. ფული vs ფასეულობა

ფული თავისით იზრდება, როცა ჩვენ ფოკუსირებას ვაკეთებთ ფასეულობის შექმნაზე. აუცილებელია ფასეულობის შექმნის სწავლა, რომლის საჭროებაც აქვთ სხვებს. აი, მაშინ თქვენ შეძლებთ კარგი თანხის გამომუშავებას. რატომ ხდება, რომ ბევრმა ადამიანმა, რომელმაც ფული ლატარიაში მოიგო, მალევე დაკარგა? იმიტომ, რომ არ იცოდნენ ფასეულობის შექმნა და არც შეუქმნიათ ის.

6. როგორ არ უნდა იფიქროთ

თუ თქვენს გარემოცვას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ფულის მიმართ, ამბობენ, რომ ფული არის სიავე, ხოლო სიმდიდრე აფუჭებს ადამიანებს – ქვეცნობიერი პროგრამირდება სიმდიდრის მიღწევის საწინააღმდეგოდ. ასეთი მიდგომა უნდა შეიცვალოს.

7. შენაძენის შეფასება

ერთ-ერთი მავნე ჩვევათაგან არის ის, რომ ჩვენ რეალურად არასოდეს ვითვლით რა ღირს სინამდვილეში შენაძენი. არ ვითვლით რამდენი დრო, ენერგია და შრომა დაგვჭირდება იმისათვის, რომ თავს ასეთი შენაძენის გაკეთების უფლება მივცეთ. გამოიმუშავეთ წესად შენაძენის გაკეთებამდე ამა თუ იმ ნივთის შეფასება. დაფიქრდით, რამდენს გამოიმუშავებდით ამ თანხის გონივრულად ინვესტირებით.

8. ფულის გამოყენება ფული ღირს

ფინანსური ოპერაციები, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ, ფული ღირს – ბანკები იღებენ საკომისიოს. ბევრი ადამიანი ამას ყურადღებას არ აქცევს, არადა, ეს მსხვილი თანხაა. მზად ხართ, რომ სამუშაო დღის 15 %-ზე მეტი მოანდომოთ იმის გარკვევას, თუ რომელ ბანკომატში ხსნით ფულს?

9. წარმატებული ადამიანები ძონებას ფულად სახსრებში არ ინახავენ

მდიდარ ადამიანებს აქვთ აქტივები, ღარიბებს – კრედიტები, ვალები და ვალდებულებები. ქონება უნდა შეინახოთ აქტივებში იმიტომ, რომ დაიცვათ ის ინფლაციისგან

10. ინვესტიცია ჩადეთ საკუთარ სწავლაში

სწვალა – თქვენი ყველაზე ფასეული აქტივია. ახალი უნარების შეძენით, თქვენ შეძლებთ უფრო მეტი გამოიმუშაოთ. ან შეისწავლეთ ბიზნესუნარები და გააკეთეთ ისე, რომ თქვენ კი არ გამოიმუშავებდეთ, არამედ სხვები გამოიმუშავებდნენ თქვენთვის.

b2p.ge

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

რეკლამა
მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

პატარა მიხო მეზობლის კარზე აკაკუნებს:
– ნიკა ბიძია, არ გაღიზიანებთ ის, რომ მე ყოველდღე პიანინოს დაკვრას ვცდილობ?
– მაღიზიანებს და თანაც როგორ!
– მაშინ გთხოვთ, საჩქაროდ მიჩივლოთ დედაჩემთან!

* * *

– საყვარელო, შენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს, კარგი და ცუდი. რომლით დავიწყო? – ეუბნება ცოლი ქმარს.
– კარგით დაიწყე.
– თურმე ტყუილად სულაც არ გადაგიხდია ფული მანქანის დაზღვევისთვის.

* * *

– საფულე ვიპოვე.
– შენი?
– არა, ფულით სავსე!

* * *

ორი მოხუცი ინგლისელი ჯენტლმენი ბუხართან დინჯად საუბრობს:
– მალე შობაა, სერ...
– დიახ, მალე შობაა...
– შობა კარგი რამეა!
– დიახ, შობა მართლაც კარგი რამეა!
– მაგრამ სექსი მაინც უკეთესია.
– დიახ, სექსი მართლაც უმჯობესია.
– სამაგიეროდ, შობა უფრო ხშირადაა...

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აღონიერებთ მართალ სიტყვას!